სპორტიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 28 ივნისი 2006 №146 (2768) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რონალდო

მე, გოლი! 15 და იქნებ მეტი

1998



16 ივნისი. ნანტი
ბრაზილია 3:0 მაროკო
1:0 რონალდო (9)

2002



2006 ?

27 ივნისი. დორტმუნდი
ბრაზილია 3:0 განა
1:0 რონალდო (5)

ესპანღური ზიდანისგან

AFP

დარჩა რვა თამაში... სხვა სიტყვებით, მსოფლიოს ჩემპიონატზე მეოთხედფინალების დრო დადგა. აქამდე სამი წყვილი ვიცოდით, გერმანია — არგენტინა, ინგლისი — პორტუგალია და იტალია — უკრაინა, გუშინ კიდევ ერთის ვინაობა შევიტყვეთ: ბრაზილია — საფრანგეთი.

მაშ ასე, გამსვლელი გასულია, წამსვლელი წასული.

გუშინვე შევიტყვეთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატებს ახალი ბომბარდირი ჰყავს — ისტორიის წიგნებში დიდი გერდ მიულერის 14 გოლი დიდი რონალდოს 15-მა გოლმა ჩაანაცვლა.

და გუშინვე გაირკვა, რომ გრძელდება ფრანგთა და ბრაზილიელთა კაშკაშა დაპირისპირება, რომელსაც საფუძველი 1986 წელს ზიკოს და მიშელ პლატინის თაობამ დაუდო, 1998 წელს კი მუნდიალის ფინალში გაგრძელდა. ჩამოთვლილ შემთხვევათაგან ორივეჯერ სამფეროვნებმა გაიმარჯვეს, პირველად პენალტებით, ხოლო მეორედ 3:0. რა მოხდება შაბათს?

თუმცა შაბათამდე პარასკევია: გერმანია — არგენტინა და იტალია — უკრაინა.

როჯერ არნახული

ფედერერმა ბალახის ძეგლი დაიდგა

AFP

THE CHAMPIONSHIPS WIMBLEDON

ძველისძველი, მე-19 საუკუნის ადათია და ამ ადათს არ ეღალატება — უიმბლდონის ბალახზე თეთრ სამოსში გამოწყობილმა უნდა ითამაშო. თეთრი პიჯაკი კი უკვე სიმბოლურია და სწორუპოვარი როჯერ ფედერერი ასე აღნიშნავს ახალი ლეგენდის დაბადებას. იმ ლეგენდისას, რომლის შექმნასაც მან 4 წელი და 42 მატჩი მოანდომა.

გუშინ „მხიარულმა როჯერმა“ სამ სეტში სძლია ფრანგ რიშარ გასკეს. ეს შვეიცარიელის ზედიზედ 42-ე მოგება იყო ბალახზე და ამით დაემხო დიადი შვედის ბიორნ ბორგის ოცდახუთწლიანი რეკორდი. ბორგი ლეგენდა იყო და ლეგენდად დარჩება. ფედერერი კი 42 მოგებაზე გაჩერებას ნამდვილად არ აპირებს.

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

მერვედფინალი

ზიდანის ელ კლასიკო

ესპანეთი 1:3 საფრანგეთი

№56. 27 ივნისი. 23.00. ჰანოვერი. „AWD არენა". 43 000 მაყურებელი

1:0 ვილია (28პ), 1:1 რიბერი (41), 1:2 ვიეირა (83), 1:3 ზიდანი (90)

შეცვლა: ვილია – 17. ხოაკინი (54),
რაული – 11. ლუის გარსია (54), ხავი – 16. სენა (72),
მალუდა – 9. გოვუ (74), ანრი – 11. ვილტორდი (88)

გაფრთხილება: ვიეირა (68), პუიოლი (82), რიბერი (87), ზიდანი (90)

მსაჯები: რობერტო როზეტი;
ერისტიანო ეოპელი, ალესანდრო სტანოლი (იტალია)

29	ჯარიმა	23
8	კუთხური	5
7	ჯარისკენ დარტყმა	9
2	ჯარში დარტყმა	5
2	თამაშგარე	8
61	ბურთის ფლობა პროცენტულად	39

AFP პანოგურიდან

შოტლანდიის, ლიტვისა და ფარერების რა მოგახსენოთ და, დანარჩენი, ვინც ევრო 2008-ის შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქეა, შეგიძლიათ, პარასკევს და შაბათს მსოფლიოს მიმდინარე ჩემპიონატის მეოთხედფინალში იხილოთ — იტალია, უკრაინა და საფრანგეთი. ჰოდა, სწორედ საფრანგეთის მიერ ესპანელთა დამარცხებაზე გვინდოდა, გვესაუბრა.

დავიწყოთ შეძახილით: ბრავო ზიზუ! ზინედინ ზიდანმა, რომელიც კარიერაში ბოლო მატჩებს თამაშობს, წუხანდელს თავისი გოლით დაუსვა წერტილი. ეს მოხდა იტალიელი მსაჯის რობერტო როსეტის მეორე დამატებულ წუთზე, როდესაც სულ რაღაც ნახევარი წუთით ადრე ყვითელი ბარათით დასჯილმა ზიდანმა მეტოქის საჯარიმოსთან, მარცხენა მხარეს მიიღო ბურთი, კარლეს პუიოლი გააცურა და იკერ კასილიასს მოძრაობის საწინააღმდეგო მხარეს დაურტყა. ლამაზად რომ ვთქვათ, მის წინააღმდეგ „ბარსელონასა" და „რეალის" ერთობლივმა ძალისხმევამაც ვერ გამოიღო შედეგი.

ეს ისე, ხუმრობით. სერიოზულად კი, შეხვედრის დასაწყისში თვალში ფრანგთა შემადგენლობა მოგვხვდა. კერძოდ, მოგეხსენებათ, უკვე ნახსენები და ნაქები ზიზუ წინა შეხვედრაში დისკვალიფიცირებული იყო, ასე რომ მისთვის ტოგოსთან ნათამაშევ ფრანგთაგან რომელიმეს უნდა დაეთმო ადგილი. მწვრთნელ რაიმონ დომენეკის გადაწყვეტილებით, ასეთი დავიდ ტრეზეგე აღმოჩნდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ სამფეროვნები განსხვავებული, 4-5-1 სქემით ითამაშებდნენ.

დომენეკის მეტოქეს, სამწვრთნელო საქმის ვეტერან ლუის არაგონესს კი 4-3-3 განლაგებისკენ გაუწია გულმა. ვერ გეტყვით, 29-ე დაბადების დღის გამო თუ ობიექტური რამ მიზეზით, წინა შეხვედრებისგან განსხვავებით, მან სასტარტო შემადგენლობაში რაული შეიყვანა, მის წინ კი ფერნანდო ტორესი და დავიდ ვილია დააყენა, მაგრამ ასეთი იყო განლაგება თუ ისეთი, მოქმედებაში როგორც ესპანეთი, ასევე საფრანგეთი, ერთნაირი იყო. ამას იმ გაგებით მოგახსენებთ, რომ ორივე ყოველ წამს, ნებისმიერ ეპიზოდში, მოედნის ბურთიანი ადგილის უკან ბევრი ფეხბურთელით ყოფნას ცდილობდა და ნებისმიერი შეტევა ბურთის დაკარგვის შემდეგ უკან სწრაფი და ორგანიზებული დახევით გრძელდებოდა. ერთი სიტყვით, არაგონესსა და დომენეკს კარგად ესმოდათ გაშვებული გოლისა და თითოეული შეცდომის ფასი და მოთამაშეებიც შესაბამისად ჰყავდათ დამოძღვრილი.

ანგარიში 28-ე წუთზე ესპანელებმა გახსნეს — დავიდ ვილიამ პენალტი დაარტყა. პენალტის დანიშვნის მიზეზი კარისკენ ზურგით მდგომ პაბლოსთვის ლილიან ტურამის ფეხის დაბიჯება და ესპანელის წაქცევა გახლდათ. ვილიამ ზუსტად და კარგად დაურტყა საკმაოდ შორს და სწორად გადამხტარ ფაბიენ ბარტეზს.

მანამდე ფრანგებს ჰქონდათ ერთი მეტად სახიფათო მომენტი, როდესაც ზიდანის პასს საჯარიმოში ტიერი ანრი შეჰყვა, კარის გასწვრივ გამოასრიალა დაბალი პასი, მაგრამ ბურთს ფრანკ რიბერი და პატრიკ ვიეირა ვერ მიწვდნენ.

რიბერი... რიბერი ვახსენეთ და, კითხვაც გაგვიჩნდა: სწორედ ეს ფეხბურთელი ხომ არ არის გამორჩევით მოკაშკაშე სამფეროვანთა გუნდში? და კიდევ, ფეხბურთი ჯერაც ასეთების თამაში ხომ არ არის?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა დღევანდელ წერილში მიზნად ნამდვილად არ დაგვისახავს, თუმცა, როგორც წუხანდელი მერვედფინალური შეხვედრის აღმწერი მოგახსენებთ, 41-ე წუთზე ანგარიში სწორედ რიბერიმ გაქვითა — ვიეირასთან „კედელი" გაითამაშა, კასილიასის პირისპირ შევიდა, ისიც ჩამოიცილა და ბურთი „ფურია როხას" კარში შეაგდო.

მეორე ნახევარში, სანამ კარგა დიდი, უინტერესო, ტაქტიკური თამაშით დატვირთული პერიოდი დაიწყებოდა, ისევ ფრანგებს ჰქონდათ მომენტი — ზიდანმა ბურთი ესპანელთა დაცვის ხაზს თავზე გადაუგდო, იქვე მალუდა შევარდა, ახტა, რათა თავის მხრივ კასილიასისთვის გადაეცალა და კარში ჩაეშვა ბურთი, მაგრამ „რეალის" მეკარე ყოჩაღად გადახტა და ბურთს დარტყმულს მისწვდა.

აი, ამის შემდეგ, როგორც მონგახსენეთ, დაიწყო თამაშის მშვიდი, ფრთხილი მონაკვეთი, რომლის შემყურეთ ბუნებრივად გაგახსენდებოდათ დამატებითი დროის ცნება. ამ მონაკვეთში დიდად აღსაწერი არაფერი მომხდარა თუ არაგონესის მიერ მოედნიდან რაულისა და ვილიას გაყვანას არ ჩათვლით, თუმცა თავდასხმაში წყვილი ცვლილება, თან რაულის შეცვლა არაფრად ჩათვალო, ესეც ცოტა უცნაურია...

და აი, დადგა 83-ე წუთი, როდესაც ზიდანმა საჯარიმოდან მაღალი პასი ჩააწოდა. ბურთს თავით ჯერ ხაბი ალონსო შესწვდა, მაგრამ მან მდგომარეობა კი ვერ განმუხტა, პირიქით, მოვლენა შორეულ ძელთან გადაიტანა, სადაც ვიეირამ დაჰკრა ღონიერი თავური, ოღონდ უშუალოდ კარში შევარდნამდე წინ ბურთი სერხიო რამოსს მოხვდა...

პაპუნა კედია

AFP პანოგურიდან

ბომბარდირები

მიროსლავ კლოზე (გერმანია)	4
ერნან კრესპო (არგენტინა)	3
რონალდო (ბრაზილია)	3
ლუკაშ პოდოლსკი (გერმანია)	3
მაქსი როდრიგესი (არგენტინა)	3
ფერნანდო ტორესი (ესპანეთი)	3
დავიდ ვილია (ესპანეთი)	3

AFP

კლინსმანი და მისი თანაშემწე ლიოვი არგენტინასთან მატჩისთვის ემზადებიან

AFP

ბალაკმა და კლოზემ ვერ ივარჯიშეს, მაგრამ პარასკევისთვის მზად იქნებიან

კლინსმანის საპარასკევო წერტილი

იურგენ კლინსმანი ამბობს, რომ მისი ნაკრების მეტოქე აგენტინის ეროვნული გუნდი უძლეველი სულაც არ არის და იმედოვნებს, რომ პარასკევს, გერმანია მსოფლიოს უძლიერეს მეტოქეებთან ვერმოგების ბოლოდროინდელ ტრადიციას დაარღვევს!

დავაზუსტოთ: სტატისტიკა მეტყველებს, რომ „ბუნდესმანშაფტს" ეგრეთწოდებული დიდი საფეხბურთო ქვეყანა 2000 წლის ოქტომბრის შემდეგ არ დაუმარცხებია — თითქმის ექვსი წლის წინ კი გერმანიამ „უემბლიზე" ინგლისს მოუგო 1:0. ეს გახლდათ მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრა.

მას მერე გუნდმა, რომელსაც ახლა იურგენ კლინსმანი უდგას სათავეში, „დიდებთან" 16 მატჩი ჩაატარა, რომელთაგან 10 წააგო, ხოლო 6 ფრედ ითამაშა.

„ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, მჯერა, რომ ამ უსიამოვნო ტრადიციას პარასკევს დაესმება წერტილი — ბრძანა კლინსმანმა პრეს-კონფერენციაზე — არ დავმალავ რა შთაბეჭდილება დატოვეს ჩემზე სხვა გუნდებმა. არგენტინა, მაგალითად, მომეწონა. დიდი გუნდია, მაგრამ დაუმარცხებელი ნამდვილად არ ჩანს. ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენ მისი ძლევა შეგვიძლია. საერთოდაც, მინდა მოგახსენოთ, რომ საკუთარი ფეხბურთელებით ვამაყობ. ჩვენ სწრაფ ფეხბურთს ვთამაშობთ და შეხვედრის განმავლობაში ბევრ მომენტს ვქმნით. შვედეთმა ჩვენს ასეთ სტილს მორიგი კარგი გამოცდა მოუწყო და ჩვენ ეს გამოცდა ჩავაბარეთ. არგენტინა, რასაკვირველია, შვედეთისგან განსხვავდება, მაგრამ გიმეორებთ, დაუმარცხებელი აშკარად არ არის."

შეგახსენებთ, რომ 41 წლის ბუნდესმწვრთნელი თავად გახლდათ მონაწილე 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისა, რომელშიც გერმანიამ სწორედ არგენტინას სძლია 1:0.

„რაც მე ვარ გერმანიის ნაკრების მწვრთნელი, ეგრეთწოდებულ დიდ საფეხბურთო ქვეყნებთან შინ მხოლოდ ერთხელ წავაგეთ — ბრაზილიასთან, კონფედერაციათა თასზე, 2:3. რაც შეეხება არგენტინას, შარშან ორჯერ ვეთამაშეთ და მის შესახებ ყველაფერი ვიცით. ვნახეთ არგენტინისა და მექსიკის მერვედფინალური შეხვედრაც, რომელშიც მექსიკა იყო დიდებული. მათ თავიანთი ფეხბურთი ითამაშეს. ერთი სიტყვით, არანაირ ეიფორიაში არ ვართ. ჩვენი მოდუნება გამორიცხულია, რადგან მიზნად მსოფლიოს ჩემპიონობა გვაქვს დასახული."

კლინსმანს ჟურნალისტებმა 1 მარტს, ფლორენციაში, იტალიასთან 1:4 წაგებული ამხანაგური შეხვედრა შეახსენეს, რაზეც მან ასე უპასუხა:

„იტალიაში 1:4-ს რომ წააგებ, პრესამ უნდა გაგაკრიტიკოს. ეს ბუნებრივია, მაგრამ მაშინვე ვიცოდი, რომ ამხანაგურ თამაშში დამარცხება არაფერ შუაშია იმასთან, თუ როგორ ითამაშებ უშუალოდ მსოფლიოს ჩემპიონატზე. ამიტომ მინდოდა თანამდებობის შენარჩუნება."

გერმანული პრესა საგანგებო ყურადღებას ამახვილებს იმაზეც, რომ მათი ქვეყნის ნაკრების თამაშში დიდი მნიშვნელობა მატჩის პირველ მონაკვეთში გატანილ, ეგრეთწოდებულ „სწრაფ გოლს" ენიჭება.

ფილიპ ლამი: „ჩვენ ყველანი გამარჯვების ჟინით ვართ შეპყრობილი და, ბუნებრივია, სწრაფი გოლიც ჩვენი გეგმისა და სტილის ნაწილია."

იენს ლემანი: „სწრაფი გოლით მაყურებლის პირველივე წუთებიდან დატყვევებას ვცდილობთ."

კრისტოფ მეცელდერი: „მგონი, საყოველთაო აჟიოტაჟს კარგად ვიყენებთ. ემოცია იფრქვევა, ჩვენ კი გოლები გაგვაქვს."

პაპუნა კედია

ნე გამოტოვებთ გაღამწყვეტ გოლს!

სიახლე! ჯეოსელისა

GEO ჯეო

და ღარ-ღარის აბონენტებთათვის.

გოლი

გააგზავნეთ SMS-ი ნომერზე 2006

და გამოინერეთ ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის განმავლობაში სრული ინფორმაცია ყველა მატჩისა და გატანილი გოლის შესახებ.

ფასი: 5 ლარი

აღნიშნული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მხოლოდ აქტიურ ნომრებზე.

ან ეწვიეთ Geogoli-ს wap.geocell.com.ge-ზე

და გადმოწერეთ:
ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის ცხრილი,
მატჩების ანგარიშები,
ფეხბურთელების ფერადი სურათები,
გატანილი გოლების ვიდეო რგოლები,
ქვეყნის კიმნები.

FIFA WORLD CUP GERMANY 2006

© 2002 FIFA TM

ყველა, ვინც კი კარგ გოლს ელის ეთანხმება ჯეოსელის

www.geocell.ge

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვას წარმოგიდგენთ
სლოტ პოკერ კლუბი VEGA

მერვედფინალი

რონალგოოოოოოოოოოოოოოოლ

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15

ბრაზილია 3:0 განა

№55. 27 ივნისი. 19.00. დორტმუნდი. „ვესტფალენშტადიონი". 65 000 მაყურებელი

1:0 რონალდო (5), 2:0 ადრიანო (45), 3:0 ზე რობერტო (84)

1 დიდა

მწვრთნელი
კარლოს ალბერტო პარეირა

2 კაფუ 3 ლუსიო 4 ჟუანი 6 რობერტო კარლოსი

5 ემერსონი 11 ზე რობერტო

8 კაკა 10 რონალდინიო

7 ადრიანო 9 რონალდო

3 გიანი 14 ამოა

23 დრამანი 11 მუნტარი

10 აპია 18 ე. ადო

7 შილა 5 მენსა 6 პაპოე 15 პანცილო

მწვრთნელი
რატომირ დუიკოვიჩი

22 კინგსონი

შეცვლა: ემერსონი – 17. ჟილბერტო სილვა (46), ადო – 9. ბოატენგი (60), ადრიანო – 19. ჟუნინიო (61), ამოა – 12. ტაჩე-მენსა (70), კაკა – 20. რიკარდინიო (83)

გაფრთხილება: აპია (7), მუნტარი (11), ადრიანო (13), პანცილი (29), ადო (38), ჟუანი (44), გიანი (48), გიანი (81)

გაძევება: გიანი (81)

მსაჯები: ლუბოშ მიხელი; რომან სლისკო, მარტინ ბალკო (სლოვაკეთი)

18	ჯარიმა	24
3	კუთხური	4
11	კარისკენ დარტყმა	18
10	კარში დარტყმა	7
5	თამაშგარე	4
48	ბურთის ფლობა პროცენტულად	52

AFP დორტმუნდიდან

AFP დორტმუნდიდან

მაგარია ეს განა და რა გინდა რომ თქვა? მაგრამ: ბავშვებს რომ ეთამაშებიან, აფრინდა, აფრინდა, ვერ აფრინდაო, ეგრე მოსდით შავ ვაჟკაცებს — მიიტანდნენ ბურთს ბრაზილიის კართან, ახუჭუჭებდნენ ნაირ-ნაირ კომბინაციებს და დაბოლოება რომ სჭირდებოდა, ღრუბლებში ურტყამდნენ ბურთს.

განა ის გუნდია, ჩეხეთი რომ ჩატოვა ჯგუფში და ვინ იცის, გუშინაც არგენტინის, ინგლისის, გერმანიის, იტალიის, პორტუგალიის, უკრაინის, საფრანგეთის, ესპანეთის რამდენ გულშემატკივარს უბრდღვიალებდა იმედი, ეგებ, ბრაზილია მოგვაშოროსო.

დაჰკარ, დაჰკარ — ასეთი ლოზუნგით იყვნენ გამოსულები ასამოა გიანი, ჯონ მენსა, ჯონ პანცილი, მეთიუ ამოა, სტეფან აპია და ძმანი მათნი, მაგრამ თვრამეტჯერ რომ დაარტყამ და ერთხელ ვერ გაიტან, მუნდიალის მეოთხედფინალში არაფერი გესაქმება. ამ თვრამეტიდან მხოლოდ შვიდი იყო კარის მიმართულებით, ბრაზილიამ კი თერთმეტჯერ დაუმიზნა და ათჯერ ძელებშუა მოარტყა — კლასიც ესაა...

რონალდო! მიდი და აკრიტიკე, წონაო, ასაკიო, ველარ დარბისო, პასს ვერ აძლევსო. გუშინ მან მე-5 წუთზევე გაიტანა ისტორიული გოლი, რომელიც მისთვის მე-15 აღმოჩნდა მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში. ამ ზედმეტწონიანმა კაცმა გუშინ გადაასწრო 14-გოლიან გერდ მიულერს და რაღაც ისე გვგონია, კარგა ხანს ვერავინ შეეტოლება ამ რეკორდში.

ეს გოლი კი კაკამ შექმნა, ნახევარი მინდორი იარა და ცენტრიდან დაუხატა პასი რონალდოს, რომელიც განელ მცველებს თამაშგარეში ეგონათ. რეკორდსმენმაც იოლად მოატყუა მეკარე რიჩარდ კინგსონი და 1:0. დაახლოებით რონალდოსებური მომენტი მალე ადრიანოს შეექმნა, მაგრამ კინგსონმა აქეთ გააცურა — ინტერელი აშკარა პენალტზე წავიდა და მსაჯმაც ბრაზილიის მაისურის ფერი ბარათი აუფრიალა.

დაულაგებელი განა სადღაც მე-20 წუთიდან დალაგდა, მეთიუ ამოა და ასამოა გიანი ვერცხლისწყალივით შერბოდ-გამორბოდნენ პენტაკამპეონების საჯარიმოში, ორი კარგი მომენტიც გამოძერწეს, მაგრამ ვერ იხეირეს. ვინ იცის, „ჩელსის" ძრავა მიკაელ ესიენს დისკვალიფიკაცია რომ არ ჰქონოდა, ბრაზილიელებს ცუდად წასვლოდათ საქმე.

პარეირას დაცვა მე-40 წუთზეც ჩავარდა, როცა ჯონ მენსა ორი მეტრიდან ურტყამდა თავურს, მაგრამ დიდამ ილბლიანად დაუხვედრა ბურთს ფეხი და აქ ნაღდად გადარჩნენ ფავორიტები. ტაიმის ბოლო წუთზე კი შეტევებში გართულ განელებს ისევ კაკა დაუსხლტათ, ვინაც კაფუს უპასა, ამანაც ადრიანო მონახა და 2:0.

საერთოდ, წლევანდელ კოტ დივუარს თუ არ ჩავთვლით, აფრიკულ ნაკრებებს ყურების ჩამოყრა სჩვევიათ, მაგრამ განელები მეორე ტაიმშიც ლომებივით იბრძოდნენ. ხშირად გინახავთ, ბრაზილიისთვის ბურთის ფლობაში ვინმეს ეჯობოს? გუშინ კი ასე იყო, მაგრამ რად გინდა...

ეგ არ ვიცით და, მუნდიალების ისტორიაში საუკეთესო ავტოგოლის ნახვამდე კი ცოტაღა დაგვაკლდა: ჯონ პანცილმა თავით ისეთი დაურტყა კინგსონს, ბირჰოფს და შირერს შეშურდებოდათ. ბრაზილიამაც უცადა განელთა შორიდან ლიცლიცს და მესამე გოლიც კონტრშეტევაზე გამოაცხო: შეცვლაზე შესულმა რიკარდინიომ ზე რობერტო პირისპირ დატოვა, მანაც მეკარეს გადაავლო ბურთი თავზე და წერტილიც დასვა.

ბრაზილია საჩემპიონო თამაშს ვერ აჩვენებს — ყველგან ეს სიტყვები ისმის, მაგრამ ალბათ იმიტომ, რომ ბრაზილიაა, ვისგანაც უფრო მეტს ელიან. უფრო მეტი რაღაა, უკვე გრანდებთან გამოჩნდება, მაგრამ სადაა ის რონალდინიო, ლამის პელე-მარადონას გვერდით რომ მოიხსენიება ხოლმე?..

ილია ნანობაშვილი

გიო ახვლედიანის სვეტეული

ქალის შემოსვლა



ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელს მსოფლიოში მილიონობით ქალი შემოდის ხოლმე იმ ოთახში, რომელშიც ზის კაცი და უყურებს მსოფლიო ჩემპიონატს. ესენი ის ქალები არიან, რომლებსაც ფეხბურთი არ აინტერესებთ, არ ესმით და ერთი სული აქვთ, როდის დამთავრდება მსოფლიო თასი.

მსოფლიო თასი კი არა, საერთოდ ფეხბურთი.

ფეხბურთი კი არ მთავრდება.

რა დაამთავრებს?!

ეს ქალები შეიძლება იყვნენ ბებიები, დეიდები, დები, ცოლები, შვილები, ნათესავები და საყვარლებიც კი.

ფეხბურთს ქალებიც გულშემატკივრობენ, ოღონდ ისინი ცოტანი არიან, გულშემატკივარი ქალები. განუზომლად ცოტანი, ვიდრე ისინი, რომლებიც სრულიად მექანიკურად გეკითხებიან:

— ვინ და ვინ თამაშობს?

— განა და იტალია.

— განა ესენი არიან, ხო?... ვაიმე, რამხელები არიან.

— ხო.

— და იტალია რომელია?

აი... რომელია და აპენინის ნახევარკუნძელზე რომ მდებარეობს, ჩექმას რომ გავს. ჩექმას კი არა, სიცილია ვითომ ბურთია და დანარჩენი იტალია ფეხი.

მაგრამ ეს უწყინარი, ტკბილი და კეთილგანწყობილი შეკითხვებია.

ოთახში შემოსული ქალები იწყებენ ლაპარკს ათას საჭირბოროტო (მათი აზრით) საკითხზე: პომიდორზეც კი, ბენზინზე...

იმაზე, მიშას რომ რაღაც უთქვია. მეზობლებზე... ტელევიზორში კი ფეხბურთია. ეს ძირითადად იმ დროს ხდება, როცა ფეხბურთს მარტო უყურებ. თუ მეგობრებიც შემოგესწრენ, ნაკლებად.

ჰოლანდია ეთამაშება პორტუგალიას და:

— ჩვენ უნდა დავდოთ გოგოებმა ხვალ. ჩვენმა განყოფილებამ. გადავწყვიტეთ. ბულალტერიაში რო ეკაა იმან მოიგო ას სამოცი ლარი... რაზე დავდოთ?

აი, შეკითხვა. სწორედ მაშინ ფიგუს რომ იდაყვი მოხვდა.

— უკრაინის ჩემპიონობაზე.

— მართლა? მაგარია უკრაინა? ბრაზილიას მოუგებს?

— ბრაზილია გავარდა.

— მართლა?

— კი, ბრაზილია გერმანიამ გაადო.

— ეგ იმიტო, რო გერმანიაშია ჩემპიონატი.

ისევ: აი... ხომ ხედავთ.

— ეს ვიცი. რა ქვია ამას? რონალდო... არა, რონალდო ხომ ბრაზილიაშია და რონალდინიო. ეს ვიცი. რამდენი ხანია ფეხბურთს თამაშობს... რა ქვია, მითხარი.

— ფიგუ.

— ხო. ფიგუ... და გასკოინი არი? შენ ხო გასკოინი გიყვარს.

ეხ, გაზა.

საერთოდ კიდევ, ქალი, რომელსაც ფეხბურთი არ აინტერესებს, უსახიფათოესია ფეხბურთის ყურების დროს.

იცით, რა ქნა ჩემმა დამ?

ჩემმა დამ „ბარსელონას“ ჩემპიონთა თასი მოაგებინა.

ეს შორეულ ქალაქში მოხდა. ჩემი დიშვილი „არსენალის“ ყურებაში გაიზარდა. ცხრა წლის არის. აცვია მაიკა: მშვიდობით, ჰაიბერი. ვსხედვართ, ვუყურებთ. მამაცი მეთოფენი. ათი კაცით. თხუთმეტი წუთიღა რჩება. რას ვყვები? ყველას გახსოვთ ეს თამაში. „არსენალი“ იგებს. უფრო საათს ვუყურებთ, ვიდრე ტელევიზორს. შემოდის ჩემი და, დივანზე ჩამოჯდება და შესცქერის ეკრანს.

უცებ ამბობს:

— აქ რაღაცა მოხდება. ამ ორ წუთში. გოლი გავა. შეიძლება ორიც...

ზის და უყურებს. სტადიონზე ჩამოწვა ბურუსი. დაიწყო წვიმა. „ბარსამ“ გაიტანა ჯერ ერთი, მერე მალევე მეორე. ბავშვს ცრემლები აქვს თვალებში, მე შარფი მოვისროლე.

განა ვერ ვხვდებით, რომ შეიძლებოდა, საქმე სწორედ ასე წასულიყო?

— რას გვერჩოდა? — დარდიანად ეღიმება სიძეს — დაგვთარსა, რა...

— მე რა ვიცი? ეგრე ეტყობოდა... — ადგა და გავიდა ჩემი და. ტელევიზორში ხარობდა ლუდოვიკ ჟულის შვილი. ჩემი დიშვილი კი ძლივს იკავებდა ცრემლებს და „არსენალის“ შარფს ჭმუჭნიდა.

თუ გრძნობთ, რამხელა სისულელეს ვყვები?

მაგრამ გუშინწინ...

გუშინწინ ავიჩემე, რომ იტალია ავსტრალიას ვერ მოუგებდა, პენალტებითაც კი.

მოვიდა ჩემი მეგობარი. გერმანიაში ცხოვრობს. ამაღამ მიდის. შეიძლება წელიწადს არ ჩამოვიდეს. გამოსამშვიდობებლადაა მოსული. ვუყურებთ ფეხბურთს, იტალია - ავსტრალია. ვლაპარაკობთ, ვაქებთ ჰიდინკს. გამომშვიდობებაც ეს არის. ჩემი ცოლი შემოდის.

— როდის დამთავრდება ეგ ფეხბურთი? ნორმალურად დავილაპარაკოთ. გადაყევით მაგ ფეხბურთს...

— ოც წუთში...

— ჩემი ცოლი ისევ შემოდის:

— დამთავრდა?... უნდა გაჭამო — ეუბნება ჩემს მეგობარს.

— ალბათ, დამატებითი დრო იქნება, ესენი გამტანები არ არიან.

— ჩემი ცოლი ჩვენს გვერდით ჯდება.

— დამატებითი დრო? ეგ რამდენია?

— ნახევარი საათი.

ჩემი ცოლი იცინის:

— არ უნდა დამატებითი დრო. იტალია გაიტანს.

ამას ამბობს და ზუსტად თხუთმეტ წამში...

პენალტი, რომელიც არ იყო. ტოტი. გოლი. თამაში დამთავრდა.

— წამოდით, წამოდით, ჭამეთ რამე...

— რას გვერჩოდი?

— ავსტრალიას უნდა მოეგო?

ოჰ... ოჰ...

— სულ ესე შემოდის და შლის თამაშებს.

— შე უსინდისო, იმ დღეს ინგლისის გოლზე რო შემოვედი და რო მითხარი, ჯიგარი ხარო...

მართალია, სწორია, ინგლისის გოლი ამ ჩემპიონატზე ხუმრობა არ გახლავთ.

— გამოადებილა ამ ფეხბურთმა... თან ეძინება.

— მეძინება, არა... შენ გჯერა, მე რო ფეხბურთზე მძინავს?

— არა — ამბობს მეგობარი.

— ეძინა, იმ დღეს შემოვედი... წამოდით, ჭამეთ, ჭამეთ...

მე რა მგონია, იცით? იმ დროს, როცა ავსტრალიის კარში პენალტი დანიშნეს, მთელს მსოფლიოში მილიონობით ფეხბურთის არმცოდნე ქალი შევიდა ოთახში, სადაც ქმარი ფეხბურთს უყურებდა და რაღაც იმის მსგავსი თქვა რაც ჩემმა ცოლმა. ეს ენერგიები გაერთიანდა და მეხი დასცა გუს ჰიდინკს.

აბა, მა როგორ, წლიდან წლამდე?

ვხუმრობ. ისე, უცნაურია.

ქართველი ქალების ხელი ტოტისა და ბელეტის გოლებშიც ურევია და ხინკალ-ხაჭაპურებშიც



პენალტის დროს ყვავზე არ უნდა იფიქრო

მერვედფინალში შვეიცარიასთან, უკრაინელთაგან საუკეთესო, მეკარე ალექსანდრ შოვკოვსკი იყო. მან მედიასთან იმის შესახებ ისაუბრა, თუ როგორ შეძლო მატჩისშემდგომ პენალტებში მეტოქის მოტყუება. ამ დროს არაფერზე არ უნდა იფიქრო — ამბობს შოვკოვსკი...

არადა, სლავების გოლკიპერის გერმანიაში წასვლა ყოვლად საეჭვო იყო. იანვარში მიღებული ტრავმა იმდენად სერიოზული ჩანდა, რომ ოლეგ ბლოხინმა სასოწარკვეთისგან აღარ იცოდა, რა ექნა — უკრაინას ხომ შოვკოვსკის დარი კარის მცველი არ მოეძებნება. სლავთა საბედნიეროდ, გოლკიპერმა ტრავმის მორჩენა დროულად მოახერხა, თუმცა ჟურნალისტებთან შეხვედრისას ხშირად ამბობს, ტკივილი ახლაც მაწუხებსო.

„მატჩისშემდგომი პენალტების სერია ყოველთვის განსაკუთრებულია. ემოციებმა აქ შეიძლება მხოლოდ ხელი შეგიშალოს. შევეცადე, კონცენტრაცია საკუთარ მოქმედებაზე გადამეტანა და ნაკლებად მეფიქრა იმაზე, თუ მეტოქე რას გააკეთებდა. ინსტინქტებს მივენდე და მოგერიებას ვცდილობდი. ოღონდ გამარჯვების მთავარ რეცეპტს არ გაგიმხელთ, ჯობს, ეს საიდუმლოდ დარჩეს" — ამბობს მატჩის საუკეთესო მოთამაშე.

— შვეიცარიელებთან შეხვედრამდე ფიქრობდით, რომ შეიძლებოდა მატჩი 120 წუთი გაგრძელებულიყო?

— თითქოს ამას ვვარაუდობდი, მაგრამ პენალტების მოგერიებაში წინასწარ სპეციალურად არ მივარჯიშია. რაც უფრო მეტს ფიქრობ პენალტებზე, მით უარესი. ჩვეულებრივად ველოდებოდი შვეიცარიასთან თამაშს, ისე, როგორც ყოველთვის.

— როდის იგრძენით, რომ გამარჯვება ვერსად გაგექცეოდათ?

— ალბათ, მაშინ, როცა შვეიცარიელებმა მესამე პენალტი ვერ გაიტანეს. ვიცოდი, რომ ჩვენ ერთი დარტყმის უფლება გვქონდა დარჩენილი. საბედნიეროდ, გუსევმა ეს დარტყმა კარგად გამოიყენა.

— შვეიცარიელებზე რას გვეტყვით?

— ორივე გუნდს მოგებისე თანაბარი შანსი ჰქონდა. მატჩის ზოგიერთ ეპიზოდში შვეიცარიელები გვჯობდნენ კიდეც. ფორტუნამ უკრაინას გაუღიმა, თუმცა წაგების ღირსი არც შვეიცარია იყო.

— ალბათ, ხვდებით, რომ იტალიასთან მეოთხედფინალში მეტი ოფლის ღვრა მოგიწევთ...

— რა თქმა უნდა, თუმცა დღეს ამაზე არ ვფიქრობ. იდეალური ნაკრებები არ არსებობენ და დიდი ფეხბურთელებიც ცდებიან. აი, შევჩენკომაც ხომ ვერ გაიტანა პენალტი შვეიცარიასთან.



მეორე სართულიდან გადმოვარდნილი

ტურინის „იუვენტუსის" ახალი მენეჯერი ჯანლუკა პესოტო სხეულის სერიოზული დაზიანებებით საავადმყოფოში მიიყვანეს. ექიმების თქმით, საბედნიეროდ, ყოფილი მცველის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

გავრცელებული ცნობით, პესოტო, რომელმაც კარიერა ამ ზაფხულს დაასრულა, „იუვენტუსის" სათაო ოფისის მეორე სართულიდან გადმოვარდა. თუ რა ვითარებაში და რის გამო, ჯერ უცნობია. ამბობენ თავს იკლავდაო. შეგახსენებთ, რომ მან „იუვეში" „ტორინოდან" გადასვლის შემდეგ 11 წელი გაატარა და მრავალი ტიტული მოიგო. ეროვნულ ნაკრებში კი 22-ჯერ უთამაშია.

ამ ამბავმა ჩააღწია „სკუდრა ატურას" ბანაკშიც. ფეხბურთელების დიდმა ნაწილმა ეს ჟურნალისტებისგან გაიგო. ამ უსიამოვნო ინციდენტის შეტყობისთანავე იტალიის ნაკრების კაპიტანმა, პესოტოს მეგობარმა და თანაკუბელებმა, ფაბიო კანავარომ, პრესკონფერენცია შეწყვიტა, რათა დეტალებში დაწვრილებით გარკვეულიყო.

გიორგი ჭაჭაბაძე

ბარსელონამ რაფაელის გემო გაიხანგრძლივა

რაფაელ მარკესმა ღირსეულად უთხრა ADIOS გერმანულ მუნდიალს — მექსიკელთა კაპიტანმა არგენტინასთან მერვედფინალში შესანიშნავად იბურთავა, თუმცა მისი გოლი და თავგანწირვა საკმარისი არ გამოდგა პატაგონიელთა დასამარცხებლად... მოკლედ, ოკეანისგაღმელი ელეგანტური კაცისთვის მსოფლიოს ჩემპიონატი დამთავრდა, მაგრამ „ბარსელონაში" მისი ეპოპეა წარმატებით გრძელდება.

მარკესმა კატალონიურ გრანდთან ოთხი წლით გაახანგრძლივა კონტრაქტი. „დანარჩენი გუნდების შემოთავაზებებით არასოდეს დავინტერესებულვარ, რადგანაც „კამპ ნოუზე" ბრწყინვალე შემადგენლობა გვყავს და მომავალშიც ისევე შეგვიძლია ხალხისთვის სიხარულის მოტანა, როგორც ამას აქამდე ვაკეთებდით" — განაცხადა რაფა მარკესმა კატალონიურ „სპორტთან" ინტერვიუში.

„ბარსას" მცველი მუნდიალის შემდეგ დამსახურებულად დაისვენებს და ამერიკულ ტურნემდე გუნდს არ შეუერთდება.

ლადო ხომერიკი

ნევისპირელი დიკი

ადვოკაატმა კორეა ვერბეეკს აჩუქა

პარგა ხნის წინ გაცხადდა, რომ დიკ ადვოკაატი „ზენიტის" მთავარი მწვრთნელი გახდებოდა. ახლა კი, როდესაც მისმა კორეამ მუნდიალზე თამაში დაასრულა, 58 წლის ჰოლანდიელმა პოსტი დატოვა და ოფიციალურად გააფორმა პეტერბურგელებთან ორწელიწადნახევრიანი კონტრაქტი.

ადვოკაატმა საუკეთესო წლები პსვ-ში და „რეინჯერსში" გაატარა. ორჯერ თავკაცობდა ეროვნულ ნაკრებსაც, რომელიც მის ხელში 1994 წლის მუნდიალზე მეოთხედფინალში, ხოლო ევრო 2004-ზე ნახევარფინალში გავიდა. „ზენიტში" იგი ვლასტიმილ პეტრჟელას შეცვლის. ჩეხი პოსტიდან არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო დაითხოვეს. ადვოკაატი რუსეთში კვირის ბოლოსთვის ჩავა და მისი დებიუტი სანკტპეტერბურგელთა დამრიგებლის რანგში, მომავალ კვირაში, მოსკოვის „დინამოსთან" შედგება.

პიმ ვერბეეკი და დიკ ადვოკაატი

უკვე გაირკვა კორეელთა ახალი მწვრთნელის ვინაობაც. ეს, ადვოკაატის თანამემამულე და ყოფილი თანაშემწე პიმ ვერბეეკია. 50 წლის სპეციალისტს შეიძლება დიდი სახელი არ აქვს, მაგრამ სტაჟიანი მწვრთნელია და თითქმის 25 წელი შეალია ამ საქმეს. მან კორეელებთან ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

„ვერბეეკმა რამდენიმე კლუბისგან და ნაკრებისგან მიიღო მიწვევა, მაგრამ მას კორეის ნაკრების მთავარი მწვრთნელობა ძალიან სურდა და ჩვენც მის შესაძლებლობებში ეჭვი არ გვეპარება" — აღნიშნა კორეის ფეხბურთის ასოციაციის წარმომადგენელმა იუნგ მუ ლიმ.

ჭოჭი ჭანდელაკი

თმის გადანერგვის კლინიკა
«ჰეალაინ ინტერნეიშნლ»
ხელმძღვანელი პროფ. თამაზ თამაზაშვილი
უყურე ფეხბურთს
ჩვენთან ერთად
და შედეგით
კმაყოფილი დარჩები
• უფასო კონსულტაცია, კონფიდენციალობა
• გარანტირებული შედეგი
• უახლესი ავტომატური ამერიკული ტექნოლოგიები
მსოფლიო და ამერიკის თმის გადანერგვის
ასოციაციების მიერ სერთიფიცირებული
ერთადერთი კლინიკა ამიერკავკასიაში
ქავთარაძის 16 (სამკერვალო კომბინატი)
ტელ: 30 00 30; (893)62 32 62

ᲙᲝᲡᲛᲝᲞᲝᲚᲘᲢᲣᲠᲘ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ



ნუ, ძძძძძძაან მაგარი ჩემპიონატია. ფანები ხო დავქრივართ ლარიპიისიატიანი ბენზინით, მანქანებიდან საზღვარგარეთულ დროშებს ხო ვაფრიალებთ, ხო გვაცვია ფერად-ფერადი, ხო ვსვამთ პივას და რეკლამებსაც ხო პივაზე ვუყურებთ... აბა, მეტი რა არის მსოფლიოს ჩემპიონატი? კიდე რამეა? დავლიოთ ლუდი — არ არის ცუდი.

ჰო, მართლა, ეს ჩვენი ისტერიკიანი პოლიტიკოსებიც გადაგვავიწყდნენ და ყველაფერი მარტო ამად ღირდა... გაფიცებთ ყველაფერს, განელი პინგპონგის ყურება ხო ჯობია იმის ყურებასაც და ამის ყურებასაც? ნუ, ვსმისლე, გასაგებია ვისზედაც ვამბობ — იმაზეც და ამაზეც.

მოკლედ, ძძძძალიან მაგარი ჩემპიონატია.

მერე, ფეხბურთი ცვეტში ვიცით: იტალია სლაბია, ბურთი არ უჭირავს, ატ აბარონი თამაშობს... იმ ბურთს ინგლისიც რაღაც ვერ აგორებს... ნუ ლეო მესი რომ მარადონა კვადრატ პლიუს პელე კვადრატ გაყოფილი ორზე მინუს მაზინიოა, ეს ყველამ ვიცით. რონალდინიოზე აღარაფერს ვამბობთ, თორემ ქართული პოეზიის წინააღმდეგ ლაშქრობა გამოგვივა და გერმანიაზეც ხმის ამომღები არ ვართ.

ვობშემ, ჩვენ ჩუ.

ისე, ერთი შეკითხვა მაქვს და მინდა, საფეხბურთო ჯიგარმა და სიყვარულობამ აიტაცოს:

მარადონა უფრო პელეა თუ პელე უფრო მარადონაა?

ისე, საღოლ ვალია ივანოვი, პორტუგალია-—გალანძიაზე იმდენი ყვითელი ბარათი ამოიღო, თავი ბრაზილიის ვარჯიშზე მეგონა.

მოკლედ ძძძძაან მაგარი ჩემპიონატია.

ჰო, ერთი ძველია ანეგდოტია: ჩაპაევი ბინოკლით თეთრგვარდიელების პოზიციებს გაჰხედავს და დაიძახებს: ... ტვაიუ მაწ! მერე აქეთ გამოჰხედავს და ისევ: ... ტვაიუ მაწ! მერე კიდევ მესამეგან: ... ტვაიუ მაწ! გვერდიდან პირდაღებული პეწკა აღფრთოვანებული ჩურჩულით ამბოს: ვო, სტრატეგ!

ეს ისე, იმ დღეს ბლოხინს ვაკვირდებოდით და...

მოკლედ, ლუდს ცოტა კიდევ მივეძალოთ და ჩვენი დამწევი კაცი აღარ ინება.

პაპუნა კეკიევ
იზ უსწ-კამენაგორსკა

ᲚᲘᲞᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘ ᲣᲠᲩᲔᲡ

ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐᲡᲗᲐᲜ გაჭირვებით მოგების და კვლავ არადამაჯერებელი თამაშის შემდეგ, იტალიურმა პრესამ „სკუადრა აძურას“ მთავარი მწვრთნელი მარჩელო ლიპი გააკრიტიკა. შეცვლაზე შესულ და დამატებულ წუთებზე საეჭვო პენალტის გამტან ფრანჩესკო ტოტის კი ხოტბა შეასხეს.

„ტოტი უფრო დიდია, ვიდრე მწვრთნელის შეცდომები. ორწლიანი ჭკვიანური მუშაობის მერე ლიპიმ სწორ გზას გადაუხვია, ტოტიმ კი კრიტიკოსებს უპასუხა კარგი თამაშით. 15 წუთში მან ბევრად მეტი გააკეთა, ვიდრე სხვა ფეხბურთელებმა, რომლებმაც გაცილებით დიდი დრო გაატარეს მინდორზე“ — წერს „კორიერე დელო სპორტი“ რომელიც ლიპის განსაკუთრებით იმას ვერ პატიობს, რომ ახალმომჯობინებულ ტოტის, ფორმაში არმყოფი ალესანდრო დელ პიერო არჩია.

„გაძეტა დელო სპორტი“ კი ლიპის წამყვანი ფორვარდების — ლუკა ტონისა და ალბერტო ჯილარდინოს — ვინჩენცო იაკინტათი და ანდრეა ბარძალით შეცვლას უწუნებს. ეს შეცვლები ფარ-ხმლის დაყრას და გამართლების მოლოდინში დარჩენას ჰგავდაო.

„მსოფლიოს ჩემპიონობის იმედები პენალტებმა 1990 წელს ნეაპოლში, 1994 წელს პასადენაში, ხოლო 1998 წელს პარიზში გადაგვიწურა. თუმცა ამჯერად იღბალი ჩვენს მხარეს იყო და პენალტით გავედით მოეთხედფინალში, სადაც დაუმარცხებელი ნაკრები არ გველოდება. თითქოს ფინალისკენ გზა გვეწმინდება, მაგრამ შეცდომები არ უნდა დავუშვათ“ — წერს „გაძეტა დელო სპორტი“.

ᲙᲝᲩᲘ ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲫᲔ

ᲙᲐᲡᲞᲔᲠᲩᲐᲙᲘ ᲡᲐᲔᲚᲩᲝᲨᲘ ᲒᲐᲐᲤᲝᲠᲛᲔᲡ

ᲰᲔᲜᲠᲘ ᲙᲐᲡᲞᲔᲠᲩᲐᲙᲘ სენეგალის ნაკრების თავკაცი გახდა. 60 წლის მწვრთნელმა, რომელმაც 1998-ის მუნდიალზე ტუნისი ათამაშა, სენეგალელებთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ეს ამბავი პარიზში, სენეგალის საელჩოში მოხდა.

კასპერჩაკმა აბდულაიეი სარი შეცვალა, ვისაც აფრიკის ეროვნებათა თასის დასრულების შემდეგ, კონტრქტი აღარ გაუხანგრძლივეს. თებერვალში გამართულ ამ თასის გათამაშებაში კი სენეგალი მესამე ადგილისთვის მატჩში ნიგერიასთან 0:1 დამარცხდა.

ჰენრი კასპერჩაკი: „მე ამ სამუშაოს იმიტომ დავთანხმდი, რომ 2008 წელს ეროვნებთა თასის ფინალში გავიყვანო სენეგალი. ეს ძალიან საინტერესო საქმეა და უზომოდ მოხარული ვარ“.

კონტრაქტში წერია, რომ სენეგალი ფინალურ ეტაპზე თუ ვერ მოხვდება, მწვრთნელს გაათავისუფლებენ. შეგახსენებთ, რომ აფრიკის ეროვნებათა თასს 2008-ში განა უმასპინძლებს.

ჰენრი კასპერჩაკი ფეხბურთელობისას პოლონეთში და საფრანგეთის „მეცში“ თამაშობდა, ხოლო მწვრთნელად სანაკრებო დონეზე მალიში, მაროკოში, კოტ დივუარსა და ტუნისში უმუშავია.

ᲡᲐᲖᲘᲖᲦᲐᲠᲘ ᲕᲐᲠ

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ნაკრების მცველი მარკო მატერაცი ძალიან გულდაწყვეტილია ავსტრალიასთან მატჩში მიღებული წითელი ბარათით და თვლის, რომ მსაჯმა იგი ტყუილად დასაჯა. საქმე ის არის, რომ მატერაცი მართლაც, თანამემამულე ჯანლუკა ძამბროტას შეეხო და წააქცია, მარკო ბრეშიანოს კი მისი ფეხი არ მოხვედრია, მაგრამ ესპანელი არბიტრი მედინა კანტალეხო შეუვალი იყო.

„ძალიან ვწუხვარ, თავს საზიზღრად ვგრძნობდი, როდესაც წითელი ბარათი დავინახე. მუნდიალზე ერთადერთხელ დავჯარიმდი და მაშინაც გამაძევეს, არადა, უსამართლოდ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარკოს არც შევხებივარ, ძამბროტა წავაქციე“ — აღნიშნა მატერაციმ.

მილანის „ინტერის“ მცველს ეიმედება, რომ ფიფა ხანგრძლივ დისკვალიფიკაციას მაინც არ მისცემს. მოგეხსენებათ, იტალიელთა ნახევარმცველმა დანიელე დე როსიმ უკვე „დაიმსახურა“ ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია ამერიკელი ბრაინ მაკბრაიდს იდაყვი რომ სთხლიშა. იგი „სკუადრა აძურას“ მომავალ შეხვედრაში ვერ დაეხმარება. მატერაცი კი ძირითადში იმიტომ მოხვდა, რომ ალესანდრო ნესტა ტრავმირებულია.

მარკო მატერაცი: „იმედია, ხანგრძლივ დისკვალიფიკაციას მაინც არ მომცემენ და ერთი თამაშით შემოიფარგლებიან. ერთადერთი ადამიანი, რომელსაც შეუძლია, დამეხმაროს, მედინა კანტოლეხოა, თუ იგი იტყვის, რომ შეცდა. შეიძლებოდა, წითელი ბარათი არ ეჩვენებინა.“

ᲖᲘᲝᲠᲖᲘ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ



ფრანჩესკო ბორელი

პირველი ტური რომში: პროკურატურა VS სერია A

იტალიის პროკურატურის გამომძიებელმა ფრანჩესკო ბორელიმ, რომლის ნაშრომის პირველ ნაწილს ხვალ, ხუთშაბათს, რომის „სტადიო ოლიმპიკოზე“ დანიშნულ დიდ სასამართლო პროცესზე დაესმება წერტილი, აპენინური გაზეთების პირით შემოგვითვალა, რომ გაგრძელება იქნება. ბორელიმ პირველ ნაწილში განსასჯელთა სკამზე „იუვენტუსს“, „მილანს“, „ფიორენტინას“, „ლაციოს“ და მათთან ერთად 26 ოფიციალური პირს, მსაჯებსა და თანამსაჯებს უხმო, მეორე ნაწილში კი „რეჯინას“, „სიენას“ და „ემპოლის“ დაემუქრა. მიზეზი: მათ შეფებს 2004-05 წლების სეზონის განმავლობაში ტელეფონით რაღაც საეჭვო საუბრები გაუმართავთ.

ეჭვის ჩრდილი მიადგათ სერია B-ს გუნდებს „მესინას“, „ლეჩეს“ და „არეცოსაც“, თუმცა, როგორც „გაძეტა დელო სპორტი“ ასევე „ლა რეპუბლიკა“ წერენ, რომ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია ამ ეტაპზე კომენტარისგან თავს იკავებს.

შეგახსენებთ, რომ საქმე ეხება იტალიურ ფეხბურთში ყველაზე დიდ კორუფციულ სკანდალს, რომელიც „იუვენტუსის“ გენერალური მენეჯერის, ლუჩანო მოჯის სატელეფონო საუბრების მოსმენით დაიწყო. მოჯი ბრალდებებს უარყოფს.

პაპუნა კედია

ვანური აურზაური



„დიდი კამათი გვქონდა მე და ვან ბასტენს. მწვრთნელს ვუთხარი, რომ ფეხბურთის მისეულ ხედვას კატეგორიულად არ ვეთანხმები. მარკომაც განმიცხადა, პორტუგალიასთან მერვედფინალში არ ითამაშებო“ — ეს აღიარება რუუდ ვან ნისტელროიმ ნიურნბერგში გააკეთა უამრავი ჟურნალისტის თვალწინ, პორტუგალია — ჰოლანდიის მატჩის დასრულების შემდეგ. „იუნაიტედის“ ფორვარდი ფრიად ნაწყენი ჩანდა, თუმცა პრესასთან შეხვედრაში ნერვების მოთოკვა მოახერხა და ზედმეტი ემოციის გარეშე გამოთქვა გულისტკივილი.

VAN THE MAN-მა, როგორც „მანჩესტერში“ ეძახიან, აღნიშნა: „საშინლად იმედგაცრუებული ვარ, მწვრთნელმა მოედანზე შესვლის საშუალება რომ არ მომცა. თითქოს ერთ მომენტში ვან ბასტენი მზად იყო, შეცვლაზე შევეშვი, სირბილიც დავიწყე გასახურებლად, მაგრამ შევცდი... ჰოლანდიას გამარჯვებაში დავეხმარებოდი, თუმც მწვრთნელმა ეს არ ისურვა“.

ვან ნისტელროი ბოლომდე გულახდილია: „ახლა ადვილია ვან ბასტენის ტაქტიკის გაკრიტიკება, ჩვენ რომ მერვედფინალი წავაგეთ. თუმცა სიმართლის დამალვა არ შეიძლია და ყველაფერ ამას ამიტომაც გეუბნებით“.

მანჩესტერელის სათადარიგოობა ადრევე იყო ცნობილი. მწვრთნელმა ერთ-ერთ ინტერვიუში ვან ნისტელროი გააკრიტიკა და რუუდმაც წამსვე დაიჩივლა, ვან ბასტენი ცდილობს, ჰოლანდიური გაზეთების მეშვეობით გულშემატკივრები ჩემს წინააღმდეგ აამხედროსო.

სავარაუდოდ, ჰოლანდიელი მოიერიშე მომავალში „ოლდ ტრეფორდს“ დატოვებს და გერმანულ ბუნდესლიგას მიაშურებს. აქამდე ვან ნისტელროის მომავალ კლუბად მიუნხენის „ბაიერნი“ ითვლებოდა, თუმცა ახლა გამოირკვა, რომ **VAN THE MAN**-ის ყიდვას „ჰამბურგი“ აპირებს 12 მილიონ ევროდ. ჩრდილოგერმანულმა გუნდმა 2006-07-ის სეზონისთვის „ბაიერნიდან“ გერერო და „ანდერლეხტიდან“ ვინსენ კომპანი შეიძინა.

ლადო ხომერიკი

მაიკლის მუხლის ფული

მაიკლ ოუენი ამერიკას მიემგზავრება, რათა იქ მუხლთა მკურნალობის იმ განთქმულ სპეციალისტს შეხვდეს, რომელმაც ალან შირერს კარიერა გადაურჩინა.

ამის შესახებ „ნიუკასლმა“ საგანგებო განცხადება გამოაქვეყნა: „კლუბი დაუკავშირდა დოქტორ რიჩარდ სტიდმანს კოლორადოს კლინიკაში და ყველაფერი შეათანხმა — მაიკლს თან ნიუკასლელი ექიმებიც გაჰყვებიან.“

ორი დღის წინათ კი ჯორდების თავმჯდომარემ, ფრედი შეფერდმა, ფეხბურთის ასოციაციას შეუტია და მისგან კომპენსაცია მოითხოვა. ცნობილია, რომ ფიფას საგანგებო სადაზღვევო ფონდი აქვს იმ კლუბების დასახმარებლად, რომელთა ფეხბურთელებიც მსოფლიო ჩემპიონატზე დაშავდებიან. ოღონდაც ამ ფონდის მიერ გაცემული თანხები ყოველთვის ერთნაირია, შეფერდი კი ასოციაციისგან მეტს ითხოვს. „ნიუკასლი“ კვირაში 130 ათას გირვანქას უხდის ოუენს და, შესაბამისად, ზარალიც დიდი გამოსდის.“

თანაც შეფერდს შეუტყვია, რომ თუ უეინ რუნი დაშავდება, „მანჩესტერიც“ ზეგეგმურ კომპენსაციას მიიღებს და მაშინ რა დააშავა ოუენმა.

თუმცა ასოციაციამ შეფერდის მოთხოვნა-ბრალდებები უარყო და თქვა, რომ კომპენსაციები პიროვნული არ იქნება.

ირაკლი გამყრელიძე

იანაშის სკამი მოლაყლაყდა

პოლონეთის ნაკრებს მალე, ალბათ, ახალი მთავარი მწვრთნელი ეყოლება. მართალია, პაველ იანაში ჯერ პოსტს ინარჩუნებს და წასვლა არ უნდა, მაგრამ ყველაფერი იქით მიდის, რომ მას მოხსნიან.

„შევთანხმდით, რომ სამწვრთნელო შტაბში ცვლილებები აუცილებელია, მაგრამ კონკრეტულად რა სახის, ჯერ გადაწყვეტილი არ არის. ნაკრების მიერ ნაჩვენები შედეგებით კმაყოფილნი არ ვართ, მაგრამ იანაში ჯერჯერობით პოსტზე რჩება. 14 ივლისს მის მოხსენებას დაველოდებით და მერე ვითათბირებთ“ — აღნიშნა პოლონეთის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა მიხალ ლიცკიევიჩმა, სპორტის მინისტრ ტომაშ ლიპიჩთან შეხვედრის მერე.

იანაშის მუშაობა მთლიანად ცუდად არ ფასდება, მაგრამ ბოლო დროს მას უამრავი კრიტიკოსი გამოუჩნდა. ჯერ, რამდენიმე ცნობილი ფეხბურთელის მუნდიალზე არწყვანის, მერე კი უშუალოდ გერმანიაში ცუდი თამაშის გამო. მოგეხსენებათ, პოლონელებს ჯგუფიდან გასვლის ამბიცია ჰქონდათ. იანაშის სავარაუდო შემცვლელებზე ჯერ არ საუბრობენ.

მიხალ ლიცკიევიჩი: „ერთი ფაქტია, ცვლილებები ჩქარა უნდა მოხდეს. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპამდე მხოლოდ ერთი ამხანაგური მატჩი გვაქვს და ახალ მწვრთნელს მოსამზადებლად დრო უნდა ჰქონდეს“.

კოკი კანდელაკი

წინასაარჩევნო ზღაპრები

ესპანური გაზეთების ცნობით თუ 2 ივლისს მადრიდის „რეალის“ საპრეზიდენტო არჩევნებში სენიორ ხუან მიგელ ვილიარ მირმა გაიმარჯვა, „მანჩესტერ იუნატედის“ ფორვარდი კრიშტიანუ რონალდუ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გადაბარგდება. „ვილიარ მირმა რონალდუსთან შეთანხმება უკვე გააფორმა. თუ არჩევნებს ის მოიგებს, პორტუგალიელი თავდამსხმელი 4 წლის გადავა „რეალში“ და სეზონში გასამრჯელოდ 4 მილიონ ევროს მიიღებს“ — ვკითხულობთ ესპანურ „მარკაში“. თავად ლუზიტანი ფეხბურთელიც მადრიდულ გრანდში კარიერის გაგრძელების მომხრეა. „ვილიარ მირი თავისი პროექტების შესახებ უკვე მესაუბრა. ჩემს აგენტს განვუცხადე, რომ მადრიდის „რეალთან“ სათანამშრომლოდ მზად ვარ“ — ამბობს „მანჩესტერ იუნაიტედის“ და პორტუგალიის ნაკრების ფეხბურთელი.

რონალდუ მუნდიალის მერვედფინალურ მატჩში ჰოლანდიასთან დაშავდა და იძულებული გახდა, მატჩი დაეტოვებინა. თუმც პორტუგალიის ეროვნული გუნდის ექიმთა თქმით, ახალგაზრდა მოიერიშის ტრავმა სერიოზული არ არის და იგი მეოთხედფინალში თამაშს მოახერხებს. შეგახსენებთ, რომ პორტუგალია გელზენკირხენში ინგლისის ნაკრებს უნდა შეერკინოს.

მადრიდელებს სხვა ფორვარდისთვისაც დაუდგამთ თვალი. მეორე კანდიდატის, ექსპრეზიდენტ ლორენცო სანსის გამარჯვების შემთხვევაში „რეალში“ „ინტერის“ ბრაზილიელ ადრიანოს ჩააბრძანებენ. „ინტერნაციონალეს“ პატრონ მასიმო მორატისთან ადრიანოს შესახებ უკვე ვისაუბრეთ. თუ კვლავ პრეზიდენტი გავხდი, ბრაზილიელს მადრიდში ჩამოვიყვან“ — აცხადებს ლორენცო სანსი.

ლადო ხომერიკი

ობიექტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

AFP

AFP

AFP

AFP

მადა ჭამაში მოდისო და, ჩეხეთ-ამერიკის გადამყლაპავმა განამ მერვედფინალში ბრაზილიასაც მოუნდომა შეჭმა. ქვეყნის დედაქალაქ აკრაში დიდი ჟრიამული იყო მატჩამდე, აი, მატჩის შემდეგ კი რა მოგახსენოთ. ეულად ჩაფიქრებულ შვეიცარიელი ფანისთვის მსოფლიოს ჩემპიონატი გუშინწინ დამთავრდა. დამწუხრებული ქერა ლამაზმანი ვერენა კერტი ოლივერ კანის გელფრენდი გახლავთ. თურმე ოლი თავს შეუძლოდ გრძნობდა და გოგონას სასტუმროში მოუნახულებია. სულ ქვემოთ კი „სკუადრა აძურას“ ვხედავთ, სულ ბოლო წუთზე რომ გასხლტა მეოთხედფინალში და იქ უკრაინასთან შესახვედრად ემზადება.

AFP

სარბიელი და კროკი
წარმოგიდგენთ
სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში						
		30 ივნისი						
19:00	408	გერმანია-არგენტინა	2.70	3.10	2.50	1.44	1.29	1.38
23:00	410	იტალია-უკრაინა	1.58	3.40	6.20	1.07	1.25	2.19
		1 ივლისი						
19:00	409	ინგლისი-პორტუგალია	2.20	3.00	3.30	1.26	1.32	1.57
		შვედეთი. სუპერეტა						
		29 ივნისი						
21:00	464	ატვიდაბერგი-იონკოპინგი	2.00	3.20	3.25	1.23	1.23	1.61
21:00	465	ბრომაპოიკარნა-ქვიდინგი	1.50	3.60	5.50	1.05	1.17	2.17
21:00	466	დეგერფორსი-მიალბი	1.80	3.30	3.75	1.16	1.21	1.75
21:00	467	ფალკენბერგი-ლანდსკრონა	2.75	3.30	2.20	1.50	1.22	1.32
21:00	468	ლიუნგსკილე-ასირისკა	2.20	3.20	2.85	1.30	1.24	1.50
21:00	469	ნორჩიოპინგი-ვესბი	1.60	3.50	4.80	1.09	1.20	2.02
21:00	470	იორებრო-ტრელებორგი	1.90	3.20	3.50	1.19	1.23	1.67
21:00	471	უმეა-სუნდსვალი	3.20	3.20	2.00	1.60	1.23	1.23

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ფინეთი						
		28 ივნისი						
19:30	480	პიკ-ტურკუ	1.75	3.50	3.90	1.16	1.20	1.84
19:30	482	კტპ-ჰაკა	3.40	3.20	1.95	1.64	1.23	1.21
19:30	483	ტამპერე-პონცა	1.75	3.40	3.90	1.15	1.20	1.81
		29 ივნისი						
19:30	484	ლაპტი-იარო	1.80	3.30	3.70	1.16	1.21	1.74
19:30	485	მარიეჰამნი-კუოპიო	1.65	3.50	4.30	1.12	1.19	1.92
		აშშ						
		28 ივნისი						
23:45	500	ნიუ ინგლენდი-დალასი	2.65	3.00	2.35	1.40	1.24	1.31
23:45	501	ნიუ იორკი-კოლამბუსი	2.00	3.00	3.30	1.20	1.24	1.57
23:45	502	კანზასი-ვაშინგტონი	2.40	3.00	2.65	1.33	1.25	1.40
23:45	503	ჩიკაგო-სოლტ ლეიკი	1.80	3.30	3.65	1.16	1.20	1.73
23:45	504	ჩივასი-ჰიუსტონი	2.35	3.00	2.65	1.31	1.24	1.40
		შვედეთი. თასი						
		28 ივნისი						
21:00	532	იურგორდენი-გაისი	1.50	3.60	5.30	1.05	1.16	2.14

			1	2
		ჩოგბურთი.ქალები.უიმბლდონი		
		28 ივნისი		
14:00	585	დ საფინა-კრეიბასი	1.15	4.00
14:00	586	მისკინა-ბლეკი	1.10	5.00
14:00	587	რაიმონდი-შვედოვა	1.35	2.50
14:00	588	შარაპოვა-სმაშნოვა	1.05	6.50
14:00	589	ლიხოვცევა-ფორეცი	1.30	3.00
14:00	590	დემენტიევა-მირზა	1.30	2.85
14:00	591	ვაკულენკო-კინგი	1.45	2.20
14:00	634	მორესმო-აბრამოვიჩი	1.03	8.00
14:00	635	კრაიჩეკი-სტოსური	1.45	2.40
14:00	636	გაიდოსოვა-პრატი	1.82	1.80
14:00	637	გოლოვინი-დიას ოლივა	1.20	3.00
14:00	638	ივანოვიჩი-გალიარდი	1.11	4.50
14:00	639	დომაჩოვსკა-ბორველი	1.20	3.70
14:00	640	ვაშინგტონი-შრუფი	1.60	2.00
14:00	641	მიულერი-კანეპი	1.77	1.85
14:00	642	ფერნანდესი-მარტინეს გრანადი	1.30	2.90
14:00	643	მედინა-ხსიე სუ ვეი	1.18	3.70
14:00	656	იანკოვიჩი-დომინგესი	1.15	3.85
14:00	699	ვ უილიამსი-მატეკი	1.03	6.00
14:00	700	ხარკლეროდი-კოსტანიჩი	1.60	2.00
14:00	701	ჩინკი-პოუს ტიო	1.40	2.00
14:00	702	სანტანჯელო-ფრაზე	1.25	3.10
14:00	703	პირი-ფედაკი	1.18	3.80
14:00	704	დანილიდუ-პენგი	1.35	2.60
14:00	705	გრენვილი-ანი	1.35	2.40
14:00	706	პენეტა-ს კლოხელი	1.10	4.10
14:00	707	სკიავონი-სოუფი	1.03	7.50
14:00	708	პერი-ბაროისი	1.20	3.10
14:00	709	ლოიტი-როდიონოვა	1.40	2.35
14:00	710	დეში-ბამერი	1.12	4.20
14:00	711	სუნი-ვიერინი	1.40	2.30
14:00	712	ა ბონდარენკო-შონესი	1.55	2.20

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15408	გერმანია-არგენტინა	3.00	2.80	2.00
15409	ინგლისი-პორტუგალია	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16408	გერმანია-არგენტინა	1.80	1.80
16409	ინგლისი-პორტუგალია	1.50	2.10

გოლი:წყვილი-1ზე კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

17408	გერმანია-არგენტინა	1.85	1.95
17409	ინგლისი-პორტუგალია	1.85	1.95

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12408	გერმანია-არგენტინა	1.60	2.00
12409	ინგლისი-პორტუგალია	1.55	2.10

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

13408	გერმანია-არგენტინა	1.70	1.90
13409	ინგლისი-პორტუგალია	1.70	1.90

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

14408	გერმანია-არგენტინა	1.80	1.75
14409	ინგლისი-პორტუგალია	1.70	2.20

შემდეგ ეტაპზე გასვლა

18408	გერმანია-არგენტინა	1.85	1.75
18409	ინგლისი-პორტუგალია	1.50	2.15

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

გაიხსნა კროკოს ახალი ბიუროები: თბილისი – მოსკოვის გამზირი №6; ზესტაფონი – აღმაშენებლის №39; გარდაბანი – აღმაშენებლის №12

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10408	გერმანია-არგენტინა	3.10	1.90	2.90	1.17	1.49	1.14
10409	ინგლისი-პორტუგალია	2.55	2.00	3.75	1.12	1.51	1.30

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11408	გერმანია-არგენტინა	3.80	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11409	ინგლისი-პორტუგალია	3.10	10.00	20.00	4.20	4.40	5.60	20.00	10.00	4.80

რევაზ არველაძე, გოგი ქავთარაძე და უჩა უგულავა

დე ბური საქართველოს ფანი გახდება
ნაკრები ბორანზე

სამი დღის წინ საქართველოს ეროვნული ნაკრების ფან-კლუბის და ჰიმნის პრეზენტაცია გაიმართა, გუშინ კი ფან-კლუბის შექმნასთან დაკავშირებით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში პრესკონფერენცია მოეწყო — ჟურნალისტების წინაშე ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტები, გოგი ქავთარაძე და რევაზ არველაძე და გენმდივანი უჩა უგულავა წარდგნენ.

ქავთარაძე: ჩვენთვის, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი გამოდგა ის გამოხმაურება, რაც ფან-კლუბის შექმნას მოჰყვა. პირველივე დღეს ფან-კლუბში გაწევრიანების 700 მსურველი გამოჩნდა. დარწმუნებული ვარ, რომ ასეთ აჟიოტაჟს ლოგიკური გაგრძელება მოჰყვება. 30 ივნისიდან გვეყოლება მობილური ჯგუფები, რომლებიც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ფან-კლუბში გაწევრიანების მსურველებს ანკეტებს შეავსებინებენ. ფან-კლუბში გაწევრიანება შესაძლებელი იქნება ფეხბურთის ფედერაციის შენობაშიც. 14 ივლისიდან კი უკვე ფან-კლუბში რეალურად გაწევრიანების პროცესი დაიწყება და თუ რა პრივილეგიებით ისარგებლებენ ფან-კლუბის წევრები, ამას სწორედ 14 ივლისს გავახმაურებთ.

არველაძე: ბოლო დროს იმდენად გაუფერულდა გულშემატკივრის როლი საქართველოს ნაკრებისთვის, რომ წარმოუდგენელია, ასეთი რამ ხდებოდეს ტრადიციულ საფეხბურთო ქვეყნებში. ნებისმიერი ნაკრები გარკვეულწილად დამოკიდებულია გულშემატკივრებზე. თუ ქომაგები საქართველოს ნაკრებს მოახლოებულ შესარჩევ ეტაპზე ხუთი-ექვსი ქულის მოპოვებაში მაინც დაეხმარებიან, ეს უკვე ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. ბარემ აქვე გეტყვით, რომ ჩემი ძმა შოთა 1 ივლისს თბილისში ჩამოვა რონალდ დე ბურთან ერთად და დე ბური საქართველოს ეროვნული ნაკრების ფან-კლუბის წევრი გახდება.

უგულავა: ჩვენი ეროვნული ნაკრების ამხანაგური მატჩების თაობაზე უკვე იცით. ამხანაგურ მატჩს გამართავს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებიც — 2 აგვისტოს გერმანულ ბიტბურგში ესპანურ „ხეტაფეს“ გაეჯიბრება.

არველაძე: ფარერებთან მატჩისთვის საქართველოს ეროვნული ნაკრები 14 აგვისტოს შეიკრიბება კოპენჰაგენში, საიდანაც ბორანით გაემგზავრება ფერერებზე. ვეცდებით, რომ ფან-კლუბის წევრებმა მაქსიმალურად შეღავათიან ფასებში იმგზავრონ ნაკრების გასვლით თამაშებზე.

ქავთარაძე: საქართველოს ნაკრების გასვლითი მატჩების ტელეტრანსლაციებს რაც შეეხება, ქართულ არხებს ამაში ყველანაირად ხელს შევუწყობთ. მომავალ შესარჩევ ციკლში პირველ ოთხ გასვლით თამაშს „რუსთავი 2“ გადასცემს, ყველა საშინაო მატჩს კი — „იმედი“.

დავით თავართქილაძე

კალაძემ ნაღმებზე ირბინა

გუშინ „ორფოლოს“ პოლიგონის მოედანზე უცნაური და საინტერესო მატჩი გაიმართა — ქართულმა ჯარმა პოლიტიკოსებს 2:1 მოუგო.

თამაშისას მოედანზე დამონტაჟებული იყო არასაბრძოლო ნაღმები, რომლებსაც ხმა და ვიზუალური ეფექტი ჰქონდა.

ორი 15-წუთიანი ტაიმისგან შემდგარი მატჩის დროს ნაღმები შვიდჯერ „აფეთქდა“. შეხვედრას კი საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დაესწრო.

საინტერესოა, რომ პოლიტიკოსთა გუნდში ითამაშეს „სარბიელის“ გამოკითხვით, 2006 წლის საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელმა კახა კალაძემ და ცნობილმა ტენორმა პაატა ბურჭულაძემ, მსაჯი კი პარლამენტის საერთაშორისო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილი გახლდათ.

„რთული არჩევანის წინაშე ვიდექი. ერთის მხრივ, საქართველოს პირველი პირი ვარ, მეორეს მხრივ — ქვეყნის მთავარსარდალი“ — განაცხადა მატჩისშედგომ მიხეილ სააკაშვილმა და ჯარს გამარჯვება მიულოცა.

კახა შალამბერიძე

ვიტ ჯორჯია მაღლებს არ დაეჩაგვრინა

უკრაინულ შეკრებაზე მყოფმა თბილისის „ვიტ ჯორჯიამ“ პირველი საკონტროლო მატჩი ჩაატარა — უკრაინის უმაღლესლიგელ „ხარკოვს“ გაეჯიბრა და 3:3 ითამაშა.

„ვიტ ჯორჯია“ სიმფეროპოლიდან 10 კილომეტრში, უკრაინის პირველი ლიგის გუნდ „კრიმტეპლიცას“ ბაზაზეა დაბინავებული. „ვიტ ჯორჯიაში“ გვითხრეს, რომ იქ ჩინებული პირობები და მოედნებია. იქვეა „კრიმტეპლიცას“ სტადიონიც, სადაც გაიმართა კიდეც გუშინდელი მატჩი.

ვიტელებმა პირველი ტაიმი ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: *ბედიაშვილი, ჯაფარიძე, ა. კვახაძე, ლომაია, გველესიანი, ფეიქრიშვილი, გ. დათუნაიშვილი, დილმელაშვილი, სახოკია (ბეჭვაია 35), გელაშვილი, ლუჭაშვილი.*

პირველი ტაიმი „ხარკოვმა“ 2:1 მოიგო, ჩვენებურთაგან გოლი ბეჭვაიამ გაიტანა.

მეორე ტაიმში „ვიტ ჯორჯიას“ თერთმეტეული ასეთი იყო: *მიქაბერიძე, პ. დათუნაიშვილი, ადამაძე, ლონლაძე, კვალიაძე, ცხომარია, რაზმაძე, ბერიაშვილი, წულაძე, ბეჭვაია, მელქაძე.* გოლები ცხომარიამ და რაზმაძემ შეაგდეს.

„ვიტ ჯორჯიას“ ერთ-ერთმა მწვრთნელმა ზურაბ ბერიძემ გვითხრა, ძალისმიერი თამაში იყო და ვიტელებმა ტანმაღალ ხარკოველებს არაფერი დაუთმესო.

მომდევნო მატჩს „ვიტ ჯორჯია“ 1 ივლისს გამართავს, მეტოქე კი ჯერჯერობით უცნობია. საქართველოში ვიტელები 8 ივლისს დაბრუნდებიან.

დავით თავართქილაძე

განსაკუთრებული არც არაფერი
გერმანია, მესი და ლამი

როგორია მსოფლიოს ჩემპიონატი ქართველი სპეციალისტის თვალით? ამაზე თბილისის „დინამოს“ ყოფილ მწვრთნელს და ახლა „გაგრას“ დირექტორ გია გეგუჩაძეს ვესაუბრეთ, ვინც გერმანული ფეხბურთის თაყვანისმცემელი არაა, მაგრამ ამ მუნდიალზე ჯერჯერობით ყველაზე უფრო ბუნდესნაკრები მოეწონა...

— რაიმე ახალი და განსაკუთრებული თუ შენიშნეთ გერმანია 2006-ზე?

— განსაკუთრებული არაფერი. თუმც ის კია; რომ ახლა უფრო მეტი ნაკრები თამაშობს სამი ფორვარდით, ვიდრე უწინ. სამი თავდამსხმელით თამაშობდა ჰოლანდია, რამდენჯერმე გერმანია გადაეწყო სამ თავდამსხმელზე მწვრთნელის მიერ განხორციელებული შეცვლების შემდეგ, ახლა უფრო მეტი გუნდი ცდილობს გარემარბების გამოყენებას. ადრე ეს უფრო საკლუბო ფეხბურთში ხდებოდა, ახლა კი ნაკრებებმაც წამოიწყეს.

— მსაჯობაზე რა აზრის ხართ?

— შეცდომები იყო და, ალბათ, კიდევ იქნება, თუმც, მიმაჩნია, რომ კატასტროფული არაფერი მომხდარა. იმას, რაც პორტუგალია — ჰოლანდიის მატჩში ვნახეთ, მხოლოდ მსაჯს ვერ დავაბრალებთ. ისე, ამ მატჩის არბიტრი ივანოვი, ალბათ, თავიდანვე იყო განწყობილი ბევრი ბარათის საჩვენებლად.

— იტალია — ავსტრალიის მატჩში დანიშნულ 11-მეტრიანზე რას იტყვით?

— არა მგონია, პენალტი დასანიშნი ყოფილიყო.

— ჯერჯერობით თქვენზე ყველაზე კარგი შთაბეჭდილება რომელმა გუნდმა დატოვა?

— გერმანიის ნაკრებმა. ზოგადად, არ ვარ გერმანული ფეხბურთის თაყვანისმცემელი, მაგრამ გერმანიამ ძალიან შემტევი, მობილური და ეფექტური ფეხბურთი ითამაშა. მეტს ველოდი ჰოლანდიისგან, არგენტინისგან, პორტუგალიისა და ბრაზილიისგან.

— მეტოქის ნახევარზე ბურთისართმევა და საგოლე იერიშის წამოწყება — გოლების უმეტესობა ასე გადის, თუ გუნდები სხვა სტრატეგიას არჩევენ?

— გოლები ასეთი გზით იშვიათად გადის ამ მსოფლიოს ჩემპიონატზე. გუნდები უფრო ფრთხილ თამაშს ირჩევენ, გახსნილი თამაში მხოლოდ გერმანია — შვედეთი იყო.

— ფეხბურთელებიდან ვის გამოარჩევდით?

— ლეო მესის გულშემატკივარი ვარ. კარგი იქნება, თუ მას მეტხანს ათამაშებენ. არ მოველოდი ასეთ კარგ თამაშს ფილიპ ლამისგან — მას შეტევაში ჩართვა და გოლის გატანაც შეუძლია და დაცვაში დროულად ჩასვლასაც ასწრებს. კიდევ, ბრაზილის ნაკრების თამაში სხვანაირი ხდება, როცა რონალდოს ნაცვლად რობინიო გამოდის.

— ჩემპიონობის უკეთესი შანსი რომელ გუნდს აქვს?

— ყველაზე უფრო ჩემპიონობას ჯერჯერობით გერმანია იმსახურებს, კარგი შანსი აქვს ბრაზილიას და არგენტინას, გაწბილებული ვარ ინგლისის თამაშით, რომელიც პოტენციურად კარგი გუნდია. კიდევ, არ გამიკვირდება, თუ სულ სხვანაირ საფრანგეთის ნაკრებს ვიხილავთ.

დავით თავართქილაძე

მიხეილ ყაველაშვილი შვეიცარიულ „ბაზელს“ სამომავლო ურთიერთობის თითქმის ყველა დეტალზე უკვე მოურიგდა და ეს 34 წლის თავდამსხმელი გაისადაც, ალბათ, ამ კლუბში ითამაშებს. კონტრაქტის გაფორმებამდე ფეხბურთელსა და „ბაზელს“ წვრილმანებიღა დარჩათ შესათანხმებელი, იქამდე კი მიხეილ ყაველაშვილი გუნდთან ერთად ახალი სეზონისთვის ემზადება, მსოფლიოს ჩემპიონატსაც დიდი ყურადღებით უცქერს და გუშინ ჩვენც რამდენიმე საინტერესო ამბავი გვითხრა, რა თქმა უნდა, მეტწილად შვეიცარიული. ეს ნაკრები ხომ ჩემპიონატს გუშინწინ მერვედფინალიდან გამოეთიშა...

შვეიცარია მაინც კმაყოფილია...

ყაველაშვილმა მსოფლიოს მწვრთნელები მოუწონა

— ბუნებრივია, შვეიცარიაში დამარცხება განიცადეს, მაგრამ არავინ ამბობს, რომ ტრაგედია მოხდა. შვეიცარიამ, რაც შეეძლო, ითამაშა და მსოფლიოს თვალში ღირსეულად გამოჩნდა. ასეთი აზრია გატარებული შვეიცარიულ პრესაში. ეგ კი არა, აქ მერვედფინალში გასვლითაც კმაყოფილები არიან და ამბობენ, 2008 წლის ევროპის ჩემპიონატისთვის საკმაოდ დიდი პერსპექტივა დავინახეთო — გვითხრა მიხეილ ყაველაშვილმა.

— შვეიცარიის ამ ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელი „ბაზელიდანაა“, რამდენიმესთან ერთად კი ადრე გითამაშია...

— ეს ნაკრები, ფაქტობრივად, ჩემ თვალწინ ჩამოყალიბდა. როცა შვეიცარიაში სანაკრებო კრიზისი დაიწყო, გუნდში სწორედ მაშინ მიიწვიეს მანინი, ფოგელი, ცუბერბიულერი, მიულერი, კაბანიასი, ფრეი — ამათ და კიდევ რამდენიმე ჩემმა მეგობარმა ითამაშეს ამ ჩემპიონატზე და იქნებ სხვათათვის გასაკვირიც იყო, რომ შვეიცარიამ ჯგუფიდან გააღწია, ჩემთვის მოულოდნელი არაფერი ყოფილა. მეტიც, ვფიქრობდი, მეოთხედფინალშიც გავიდოდნენ. შვეიცარია საკმაოდ კარგი და თანაბარი დონის ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდია, მომავალ ევროპის ჩემპიონატზე კი, მგონი, კიდევ უფრო უკეთ ითამაშებს.

— მოკლედ, შვეიცარიაში მერვედფინალიდან გავარდნაზე ბევრიც არ უნერვიულიათ...

— რა ნერვიულობა, პირიქით, როცა შვეიცარია მერვედფინალში გავიდა, აქ ისეთი აჟიოტაჟი იყო, კაცი იფიქრებდა, ჩემპიონები გახდნენო. იცით, ჩვენსა და შვეიცარიელებს შორის რა სხვაობაა?! ჩვენ თუ თითქმის ყველაფერს ზედმეტად ოპტიმისტურად ვუყურებთ, აქ მოვლენებსა და შესაძლებლობებს ზედმიწევნით რეალურად აფასებენ. ჩემპიონატამდე ითქვა, შვეიცარიისთვის მერვედფინალიც დიდი წარმატება იქნებაო. ამათი მიზანი კი სწორედ მერვედფინალი იყო. ესენი ოცნებისგან შორს არიან, შეგნებით მხოლოდ მერვედფინალში იყვნენ და, როცა უკრაინასთან წააგეს, ეს ამბავიც შესაბამისად შეაფასეს.

— რა თქმა უნდა, არც მწვრთნელის დათხოვნაზე იქნება ლაპარაკი...

— კობი კუნს, ვფიქრობ, არაფერი ემუქრება. შვეიცარიაში სანაკრებო ფეხბურთი სწორედ მან გამოაცოცხლა და არა მგონია, მოხსნან.

— ამ ჩემპიონატმა ფეხბურთში რაიმე ცვლილება თუ დაგანახა, რა ტენდენცია იგრძნობა?

— განსაკუთრებული სიახლე არაფერია... სისწრაფე და მოედანზე ფეხბურთელთა კომპაქტურად განლაგება სიახლე არ ყოფილა, უფრო ის გამიკვირდა, თითქმის ყველა გუნდმა საოცრად ორგანიზებულად ითამაშა და ვინც მოიგო, ეს მხოლოდ კლასის ხარჯზე მოახერხა. კიდევ ის დავინახე, რომ გერმანიის ჩემპიონატი წინა ჩემპიონატებისგან განსხვავებით, უფრო მწვრთნელთა ჩემპიონატია... დამეთანხმებით, მწვრთნელის როლი ამ ჩემპიონატზე ერთი-ორად გაზრდილია და რამდენიმე ისეთი მწვრთნელიც გამოჩნდა, მომავალში მსურველთა ნაკლებობა რომ არ ექნებათ. ძალიან მიხარია და მსიამოვნებს, რომ ამ მხრივ საშველი ჩვენს ნაკრებსაც დაადგა.

ბოგა ინასარიძე

მუსლინმა ასათიანის წინ ჯანმრთელი ლოსკოვი დააყენა

მოსკოვის „ლოკომოტივმა“ ავსტრიულ შეკრებაზე მორიგი ტესტ-მატჩი გამართა და ვენის „აუსტრია“ 6:1 გაანადგურა. მალხაზ ასათიანმა 90 წუთი იბურთავა, თუმცა გოლი არ გაუტანია.

სხვათა შორის, რუსმა ჟურნალისტებმა კიდევ ერთხელ ჰკითხეს „ლოკომოტივის“ სერბ თავკაც სლავოლიუბ მუსლინს, ხომ არ სჯობია, ასათიანი გამთამაშებლად დააყენოთო. პასუხი კი ასეთი იყო: „მალხაზი მშვენივრად დგას დაცვაში. მას წინ მხოლოდ მაშინ ვათამაშებ, თუ დმიტრი ლოსკოვს ტრავმა შეაწუხებს, ან ფორმაში არ იქნება. დღეს კი ლოსკოვი კარგად გამოიყურება“.

აქვე ვთქვათ გიორგი ნოდარის ძე ჭელიძეზეც, რომელმაც რამდენიმე დღის წინ მოირჩინა ტრავმა და ახლა „ლოკომოტივის“ დუბლებში ვარჯიშობს.

დმიტრი ლოსკოვი და მალხაზ ასათიანი

ილია ნანოგაშვილი

გოლიანი დარასელია და სილაგაძე ილიჩევეცში

ვიტალი დარასელია მარიუპოლის „ილიჩევეცშია“ და, სავარაუდოდ, იქვე გააგრძელებს კარიერას. მართალია, ქართველი ნახევარმცველი გასინჯვაზეა, მაგრამ პირველივე ტესტ-მატჩში გოლი შეაგდო და წესით, ჩვენიანს „ილიჩევეცის“ დასაწუნებელი არაფერი უნდა სჭირდეს, ისევე, როგორც პირიქით — მარიუპოლური კლუბი ფინანსურადაც ძლიერია და უკრაინის ჩემპიონატის წინა სეზონში მეოთხე ადგილი დაიკავა, რითაც უეფას თასის საგზური მოიპოვა...

„ილიჩევეცმა“ ამხანაგურად უმასპინძლა გიორგი დემეტრაძის დონეცკის „მეტალურგს“, დარასელია კი მეორე ტაიმში შევიდა მინდორზე და 72-ე წუთზე ახლო მანძილიდან ძლიერი დარტყმით გაათანაბრა ანგარიში (2:2). რაც შეეხება დემეტრაძეს, მან ძირითაში ითამაშა და 66-ე წუთზე შეცვალეს.

დარასელიას გარდა, „ილიჩევეცშია“ 31 წლის ლევან სილაგაძეც. საქართველოს ნაკრების ყოფილი მცველი ბოლო დროს უკლუბოდ იყო, თუმცა შესაძლოა, მარიუპოლელებმა კონტრაქტი გაუფორმონ. სილაგაძემ „მეტალურგთან“ პირველი ტაიმი ითამაშა.

ილია ნანოგაშვილი

ოთარ გაბელია: ბათუმი იქნება, მაგრამ როგორი...

„ბათუმის“ ბედი კვლავ გაურკვეველია, მაგრამ ორ-სამ დღეში მდგომარეობა გამოსწორდებაო, ამბობს გუნდის ჯერაც მთავარი მწვრთნელი ოთარ გაბელია.

„არ ვიცი, ვინ დააფინანსებს კლუბს. ყოველ შემთხვევაში, ინგლისში მცხოვრები ინვესტორის „ბათუმში“ დაბრუნება გამორიცხულია და დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს. ეჭვი არ მეპარება, ბათუმი უფეხბურთოდ არ დარჩება, მაგრამ რა დონისა იქნება გუნდი, ვერ გეტყვით. ამჟამად თბილისში ვარ, გუნდში კი ცხრა-ათი ფეხბურთელი ვარჯიშობს. თუ ნორმალური პირობები იქნება, „ბათუმის“ ძველი შემადგენლობიდან ხუთ-ექვს ფეხბურთელს დავიტოვებ“ — გვითხრა გაბელიამ.

ლუკა თალაკვაძე

სიონმა და ამერმა საათები დაალაგეს

ისე მოხდა, რომ ოთხი დღის განმავლობაში „მიხეილ მესხის“ სტადიონზე სამი საევროტურნირო მატჩი გაიმართება: გეცოდინებათ, 9 ივლისს თბილისის „დინამო“ ინტერტოტოს თასზე ავსტრიულ „რიდს“ უმასპინძლებს, 11-ში ბოლნისის „სიონი“ ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე აზერბაიჯანულ „ბაკის“ მიიღებს, ხოლო 13-ში თბილისის „ამერი“ უეფას თასზე თავის სადებიუტო მატჩში სომხურ „ბანანცს“ დაუხვდება.

გაირკვა „სიონისა“ და „ამერის“ მატჩების დროებიც: ბოლნისელთა თამაში 19 საათზე, ამერელებისა კი 20 საათზე დაიწყება.

ლუკა თალაკვაძე

კადეტთა კორპუსი ბრძოლისთვის ემზადება

ფოტო ეროვნული ბიბლიოთეკის

ახალგაზრდული ნაკრებისგან განსხვავებით, კადეტებს საევროპოდ შესანიშნავი მოსამზადებელი პერიოდი ელით. 20-წლამდელები უკრაინაში აპირებდნენ სასპარინგოდ წასვლას, მაგრამ უსახსრობის გამო ეს საქმე ჩაიშალა, 16-წლამდელები კი 1 ივლისს საბერძნეთში მიემგზავრებიან — კადეტებისთვის ბიუჯეტი შედარებით ხელგაშლილია. ბოლო წლებში ყველაზე კარგი შედეგები სწორედ კადეტებს აქვთ და ამ ნაკრებს მზრუნველობა არც ახლა აკლია. 16-წლამდელებს 9-21 აგვისტოს ესტონეთში ელით ევროჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი და ამ შეჯიბრებისთვის სამზადისს კადეტები ორი კვირაა, რაც შეუდგნენ. ბერძნულ ვოიაჟზე კადეტების მწვრთნელი მიხეილ კობეშავიძე გვესაუბრება

— ორი კვირაა, რაც ვარჯიში დავიწყეთ, შვიდი დღის წინ კი სრულად შევიკრიბეთ და ვერის ბაღში ვვარჯიშობთ. 1 აგვისტოს საბერძნეთში მივდივართ ხუთღღიან შეკრებაზე, რის შემდეგაც, სანამ საკვალიფიკაციო ტურნირი დაიწყებოდეს, კიდევ ვგეგმავთ უცხოურ ტურნეს, თუმც ამაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია.

— საბერძნეთში რამდენ თამაშს გამართავთ?

— ამ ქვეყნის კადეტთა ნაკრებთან 2 ამხანაგური მატჩი გველის.

— ბერძენი კადეტები A დივიზიონში არიან...

— ჰოდა, ძალიანაც კარგი. ეს ხომ ამხანაგური მატჩებია და დამარცხებისთვის არავინ გაგვკიცხავს. სამაგიეროდ, ამ თამაშებში დიდ გამოცდილებას შევიძენთ, რაც ესტონეთში, ევროსაკვალიფიკაციო ტურნირისთვის გამოგვადგება.

— შემადგენლობა უკვე შერჩეული გყავთ?

— თითქმის ცნობილია იმ ბიჭების ვინობა, რომლებიც ესტონეთში წავლენ. კარგი იქნება, თუ ესპანეთში მყოფი კოკა ტომარაძეც შემოგვიერდება. ასეთ შემთხვევაში უკვე წარმატებაზეც შეიძლება ფიქრი.

— ტომარაძის თამაში რატომაა სათუო და სხვა ლეგიონერები თუ არიან მზად?

— ტომარაძეს ჯანმრთელობის პრობლემა აქვს და თუ მოახერხა აგვისტომდე მწყობრწი ჩადგომა, ესტონეთში დიდად დაგვეხმარება. რაც შეეხებათ დანარჩენ ლეგიონერებს, ყველა ჯანზეა და თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ესტონეთშიც უკლებლივ წამოვლენ. იტალიაში მოთამაშე ვაჟა მეტრეველი კარგი ფორმაშია, ასევე არიან ლიტვურ გუნდებში მყოფი ტატო ჩაჩიბაია, ლევან შენგელია და ბაჯო მაისურაძეც.

— საკვალიფიკაციო მეტოქეებზე რას გვეტყვით?

— მეტოქეებზე ძალიან მწირი ინფორმაცია გვაქვს, თუმც არა მგონია, ჯგუფიდან გასვლის შანსი არ გვქონდეს. პირველივე მატჩში ესტონეთს ვხვდებით და, რაღა თქმა უნდა, ძალიან რთული ბრძოლა გველის. მთავარია, სათანადოდ განვეწყოთ — ნორვეგიის, შვედეთისა და ავსტრიის დამარცხება, ალბათ, არ იქნება შეუძლებელი. თუ ამას მოვახერხებთ, ჯგუფიდან გავალთ და A დივიზიონში ანაცვლება რეალური გახდება

ირაკლი პერტაია

ფოტო კიბილაშვილის ფოტოა

სამახარებლო აბუსერიძეზეა

ფრანგებმა ირაკლის დაწინაურება დაურეკეს

ზაფხულია და ქართველ ლეგიონერებს შვებულება აქვთ. ზოგი ახალ კლუბში მონყობაზე ფიქრობს, ზოგმა კი ეს პრობლემა უკვე მოაგვარა და მშვიდად ისვენებს. ლეგიონერთა უმეტესობა თბილისშია. ამათგან კი სასაუბროდ ჩვენი „ლელოების“ კოლორიტი მოთამაშე, შერკინების გამთამაშებელი ირაკლი აბუსერიძე შევარჩიეთ. მით უმეტეს, რომ „აბუს“, როგორც მას შინაურები მოიხსენიებენ, ბოლო სანაკრებო მატჩები გაუცდა და ჩვენი ინტერვიუც ამით დაიწყო

— „ბარბაროსებთან“ მატჩი იმიტომ გამოვტოვე, რომ ჩემს კლუბ „ორლეანს“ ფედერალი-2-დან ლიგაში გადასასვლელი მატჩები ჰქონდა. ჩემი ჩამოუსვლელობა ნაკრების უფროსობასთან შეთანხმებული იყო, მათ დამრთეს ნება, კლუბში რომ დავრჩენილიყავი. ერთი თასზე ჩეხეთთან შეხვედრისთვის კი თბილისში ვიყავი, მაგრამ ვიზის გაკეთება აღარ ესწრებოდა.

— ბოლო სანაკრებო მატჩები კი გააცდინე, მაგრამ თამაშებს ვიდეოფირზე მაინც ნახავდი.

— „ბარბაროსებთან“ მატჩი ვნახე, ძალიან მომეწონა ჩვენების თამაში. ასე აგრესიულად და დალაგებულად კარგა ხანია, რაც საქართველოს ნაკრებს არ უთამაშია. ისე, ძალიან დამწყდა გული, „ბარბაროსებთან“ მატჩი რომ გამიცდა.

— თქვი, რომ ნაკრებს კლუბის პლეი ოფის გამო დააკლდი.

— ფედერალი-2-დან ფედერალი-1-ში გადასასვლელი მატჩები გვქონდა, მაგრამ მეოთხედფინალში წავაგეთ. ისეთი თამაში იყო, მოგებაც თავისუფლად შეგვეძლო, მაგრამ ბოლო წუთზე მსაჯმა მეტოქეს ჯარიმა დაუდო და იმათაც გაიტანეს. თუმც არა უშავს, ახლახან დამირეკეს კლუბის უფროსებმა და მახარეს, 99 პროცენტით გადაწყვეტილი ყოფილა, რომ ახალ სეზონს მაინც ფედერალი-1-ში დავიწყებთ.

— როგორ?

— საქმე ისაა, რომ ბორდოს ზედა დივიზიონში ორი კლუბი ჰყავდა. ამათ გადაუწყვეტიათ, გაერთიანდნენ და ელიტაში ერთი გუნდით ითამაშონ. ქვევით ერთი ადგილი გამოთავისუფლდა და რადგან ჩემს კლუბ „ორლეანს“ ფინანსურადაც და საორგანიზაციო საკითხებშიც ყველაფერი უმაღლეს დონეზე აქვს, ფედერალი-1-ში გამოთავისუფლებული ადგილი ჩვენ მოგვცეს.

— შენი სიტყვებით გამოდის, რომ „ორლეანში“ კარგი პირობები გაქვს?

— გეხსომებათ ჩვენი ნაკრების შერკინებას ბურჯი მეკლუდ მთიულიშვილი. ჩვენთან იყო და მითხრა, ასეთი პირობები ელიტარულ კლუბებსაც არა აქვთო. არადა, მეკლუდს ჩემპიონობისთვის მებრძოლი გუნდებში უთამაშია. ყველაფერი გვაქვს, რაც გვჭირდება. სათადარიგო მოედნები, საუნა, აუზი, ჯაკუზი, სატრენაჟორო დარბაზი, ფიტნეს კლუბი. კლუბის უფროსებიც კარგი ხალხია. პლეი ოფი რომ წავაგეთ, ტიროდნენ, მაგრამ ახლა ხასიათი გვარიანად გამოუკეთდებოდათ.

— ფედერალი-1-დან ელიტამდე ერთი ნაბიჯია. კლუბის ხელმძღვანელობა მომავალ სეზონშივე გთხოვთ დაწინაურებას?

— ასეთი მოთხოვნა არ ყოფილა, მაგრამ სურვილი რომ იქნება, თქმა არ უნდა. ჩვენ ყოველგვარი დამთხვევების გარეშე შეგვიძლია ზედა დივიზიონში აღზევება, მაგრამ „ორლეანის“ ხელმძღვანელებმა ახალი მორაგბეები არ იყიდეს, ვეტერანებს ენდნენ და შეცდნენ. არადა, წლეულს ბიუჯეტი მილიონნახევარი ევრო გქონდა. ახლა კი, როგორც მითხრეს, რამდენიმე ლეგიონერს იმატებენ და უკვე ელიტაზეც ფიქრობენ.

— ძირითად შემადგენლობაში თამაშის პრობლემა გაქვს?

— არა, ნახევარი სეზონი ტრავმის გამო გამიცდა. მერე ფორმაში შევედი და სტაბილურად ვთამაშობდი. სანამ წამოვიდოდი, კონტრაქტი ერთი წლით გავახანგრძლივე.

— ბევრი ლეგიონერი გყავთ?

— ჩემიანად, ორი ტონგელი, ერთი ფიჯელი, ერთი გერმანელი და ორი რუმინელია. ახლა კიდევ იმატებენ ტონგელს, ვისაც ელიტარებშიც უთამაშია.

ბაჩო სვანიძე

ხელი უშვი ჩემს საცვლებს

დოლანმა ტომასი ბომბზე დასვა



AFP

აიზია ტომასს საფიქრალი მოემატა

შფოთავს ამერიკის უდიდესი ქალაქის სიამაყე და სირცხვილი „ნიუ იორკ ნიკსი“. ეს ორი დღეა, ნბა-ს უმდიდრესმა კლუბმა დაითხოვა სახელგანთქმული მწვრთნელი, ამ გუნდის ისტორიაში ერთ-ერთი უარესი სეზონის გამო „განტევების კაცად“ წარმოსახული ლარი ბრაუნი, თუმც ვნებათაღლვა ამით არ ჩამცხრალა.

„ნიქსის“ მფლობელმა ჯეიმს დოლანმა „ნიქსი“ ახლა აიზია ტომასს ჩააბარა, რომელიც აქამდე კლუბის პრეზიდენტი და გენერალური მენეჯერიც იყო და თან თითი დაუქნია, ერთ წელიწადს გაძლევ (ზუსტად ასე უთხრა), ამ ხანში თუ აწმენდ, რაც შენ და ბრაუნმა დასვარეთ, ხომ კარგი, არადა, სხვა სამსახურის მოძებნა დაგჭირდებაო.

„მე და აიზია დავსხედით და ვილაპარაკეთ. ვფიქრობ, მან კარგად გაისიგრძეგანა ამ საუბრის შინაარსი. ეს მისი გუნდია, ის მართავდა, მან მოიყვანა ბრაუნი შარშან და ახლა მანვე უნდა გამოასწოროს გაფუჭებული. ამისთვის განსაზღვრული დრო აქვს — ერთი წელი და მხოლოდ მასზეა დამოკიდებული, ერთი წლის შემდეგ ისევ ამ გემში იჯდები თუ არა. და ესეც ვუთხარი, რომ კოსმეტიკური და ზედაპირული რემონტი არავის სჭირდება. მისმა გემმა სვლას უნდა უმატოს, არადა, ეს იქნება ავარია თვითონ ტომისთვის“ — აი, ასეთი მუქარისმაგვარი ულტიმატუმი წაუყენა დოლანმა ტომასს.

ტომასს კი სხვა არაფერი დარჩენია გარდა იმისა, რომ ძალად მომღიმარი სახით გაყოს თავი ამ ბაწარში. ის იქნება „ნიუ იორკის“ მეხუთე მწვრთნელი სამ სეზონში და ეცდება, წლების განმავლობაში ნაგროვები ტრავმების გამო ჩამოწერილი თუ ჭირვეულობის გამო სხვათაგან მოშორებული ნავარსკვლავარი მოთამაშეებისგან სულ ცოტა საპლეიოფო გუნდი მაინც გააკეთოს.

ჯეიმს დოლანი კი კიდევ ერთხელ გადასწვდა ბრაუნს და მას ბრალი დასდო მოვალეობის გადამეტებასა და პრესის წინაშე კლუბის ჭუჭყიანი საცვლების გამოფენაში.

„პრობლემა ის იყო, რომ ბრაუნი ვერა და ვერ ვაიძულეთ, თავისი საქმე ეკეთებინა — ამბობს „ნიქსის“ მილიონერი მეპატრონე — მას უნდოდა, აიზიას საქმე ეკეთებინა. წარამარა ერეოდა კლუბის მართვის საქმეებში და მერე პრესის წინაშე იმ თემაზე საუბრობდა, რაც მას არ ეკითხებოდა. სეზონი რომ დამთავრდა, თქვა, ხუთი-ექვსი მოთამაშე გასაგდებიაო. მოთამაშეებს დააბრალა ის თავისი საცოდავი შედეგი.“

თავის მხრივ ბრაუნი გაგდებამდე ჩიოდა, მრავალ გუნდში მიმუშავია, მაგრამ ასეთი ბიუროკრატიული ჭაობი არსად დამხვედრია. სულ ცოტა ორი ინსტანცია მაინც უნდა გამეარა, რომ სათადარიგო მოთამაშის გაცვლის ნებართვა გამომეთხოვაო.

ბრაუნი ალბათ უმუშევრად არ დარჩება, იქნებ მთხოვნელი კლუბების რიგიც დაუდგეს. აი, აიზია ტომასი კი ნამდვილად არასახარბიელო სიტუაციაში აღმოჩნდა. ამ გუნდის შველას მასზე ბევრად ჭკვიანი და წარმატებული მწვრთნელები წლების განმავლობაში ამაოდ ცდილობდნენ.

კოტე ყორშია



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტოები: ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტოები: გაზეთ „დილა“-ს ფოტოარქივი

ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა კახა გეწაძემ ოქროს ლიგის გამარჯვებულები გიორგი გოგშელიძე (მარცხნივ) და გელა საღირაშვილი (მარჯვნივ) გვერდით მოისვა

ბაქოში დაფასებული თბილისში შეფასდა

ხვავიანად მოვლილი ბაქოს ოქროს ლიგის ტურნირის შედეგები მოჭიდავეებმა ტრადიციულ პრესკონფერენციაზე შეაფასეს. სპორტის დეპარტამენტის დარბაზში მასმედიას ჭიდაობის ფედერაციის თავკაცები და თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მწვრთნელი ზაზა თურმანიძე შეხვდნენ. საუბარი ახალი დაწყებული ჰქონდათ, აზერბაიჯანში ნაყოჩაღევი გელა საღირაშვილი, გიორგი გოგშელიძე და ლექსო მოდებაძე რომ შემოემატათ. ბერძენ-რომაელებისგან კი, გაურკვეველ მიზეზთა გამო, პრესკონფერენციაზე არც მწვრთნელი გამოცხადებულა და არც რომელიმე სპორტსმენი.

შეგახსენებთ, ბაქოს ხალიჩაზე შესული რვა ქართველიდან ექვსმა მედალი გამოიტანა. საღირაშვილი და გოგშელიძე ჩემპიონები გახდნენ, ხოლო მოდებაძე და ლუკა კურტანიძე მესამეზე გავიდნენ. კლასიკოსთაგან ირაკლი ჭოჭუამ ვერცხლი მოიპოვა, შალვა გადაბაძემ — ბრინჯაო. ამასთანავე, ჩემპიონ-პრიზიორებმა ფულადი ჯილდოებიც მიიღეს. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია ოქროს ლიგის სერიაში შემავალ ტურნირებზე სამეულებს 5 ათასი, 3 ათასი და ათასი დოლარით ასაჩუქრებს.

„წლის განმავლობაში მსოფლიოში სამი ასეთი გრან პრი იმართება და მათზე ტრადიციულად უძლიერესი მოჭიდავეები იყრიან თავს — გვითხრა ფედერაციის პრეზიდენტმა *კახა გეწაძემ* — ბაქოს ტურნირი დასკვნითი ეტაპი გახლდათ და წინამორბედებზე პრესტიჟულიც. კონკურენცია დიდი იყო და თამამად შეგვიძლია, ამდენი მედლის მოპოვება წარმატებად მივიჩნიოთ. სულ რაღაც ორ თვეში მსოფლიოს ჩემპიონატი გველის და ბაქოში დავრწმუნდით, რომ კარგად გამოსვლის იმედი უნდა გვქონდეს“.

გეწაძისვე თქმით, სამომავლოდ ფილას ოქროს ლიგის საპრიზო ფონდის გაზრდა განუზრახავს, საქართველოს კი ერთ-ერთი ეტაპის მასპინძლობის სურვილი უკვე გამოუთქვამს. ვიდრე ამ საკითხზე სერიოზული მოლაპარაკებები დაიწყება, თბილისი ორ ტრადიციულ ტურნირს უმასპინძლებს. გივი კარტოზიას და ვახტანგ ბალავაძის სახელობის საერთაშორისო პირველობები ივლისის შუა რიცხვებში სპორტის სასახლეში ერთდროულად გაიმართება და მათზე, სავარაუდოდ, მსოფლიოს უძლიერესი ნაკრებები ოპტიმალური შემადგენლობით ჩამოვლენ.

პრეზიდენტის შემდეგ ბაქოური მონაგარი *ზაზა თურმანიძემაც* შეაფასა:

— სულ ხუთი კაცი ვაჭიდავეთ და სასიხარულოა, რომ ოთხმა მედალი და ფულადი ჯილდო აიღო. მოჭიდავეები ხომ ფინანსურად განებივრებულები არა ვართ. აზერბაიჯანში, როგორც მოსალოდნელი იყო, თითქმის ყველა ვარსკვლავმა იჭიდავა, რუსეთის ნაკრების ლიდერების გარდა. სამწუხაროდ ამ ტურნირს რუსეთის ჩემპიონატი დაემთხვა და შიდა ტურნირზე გამოსვლა ირჩიეს. არადა, ბიჭებს ერთი სული ჰქონდათ, მათთან ეჭიდავათ და ევროპირველობის რევანში აეღოთ. არა უშავს. ამის დროც მოვა. წინ მსოფლიოს ჩემპიონატია.

პრესკონფერენციის შემდეგ მოჭიდავეებსაც გამოველაპარაკეთ. გიორგი გოგშელიძე, რომელმაც ბაქოში თავისი წონის ერთ-ერთი ლიდერი, ირანელი ალი რეზა ჰეიდარი ძალიან იოლად დაამარცხა, გუშინდელ შეხვედრაზე გორიდან ჩამოვიდა. მრავალგზის დანაპირები თბილისური ბინა ჯერაც არ მიუღია, თუმც კახა გეწაძემ იქვე დაგვაიმედა, ამ პრობლემის გადაჭრაზე პირადად ვმუშაობ და სავარაუდოდ, 20 ივლისამდე მოვაგვარებო.

ოთარ მაღლაკელიძე

გეტლინის მანქანა ქარმა გააჩერა

AFP

ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი, მსოფლიო რეკორდის თანამფლობელი ჯასტინ გეტლინი, ისეთ ფორმასა და მონდომებაშია, ადრე თუ გვიან სადღაც მაინც გაუმჯობესებს მაგიურ დროს — 9,77 წამს, რომელიც მასთან ერთად, იამაიკელ ასაფა პაუელსაც უჩვენებია და რეკორდს დღეს ორი მფლობელი ჰყავს.

„გეტლინმა ამერიკის შიდა ჩემპიონატზე, ინდიანაპოლისშიც უსწრაფესად ირბინა, მაგრამ ფინალში „მხოლოდ“ 9,93 დრო აჩვენა, რასაც ობიექტური გამართლება ჰქონდა. რბენა საგრძნობ პირქარში წარიმართა — წამში 1,2 მეტრის სისწრაფის ქარი კი, როცა სახეში გცემს, რეკორდზე ფიქრი და მუშაობა ცოტა ძნელია. ამასთან ერთად, გეტლინს იმ დღეს სამჯერ მოუწია სარბენ ბილიკზე გასვლა და ამ სამი ცდიდან ორჯერ ჩამოცდა 10-წამიან ზღვარს, ნახევარფინალურ გარბენში 9,99 აჩვენა.

„გული დამწყდა, სარეკორდო შანსი თავიდანვე რომ გამიქრა, მაგრამ მოვიგე და ესეც არაა ცუდი“ — ამბობდა 24 წლის სპრინტერი, რომელიც 9,93 წამით ახლოსაც ვერ მივიდა მსოფლიოს საუკეთესო შედეგთან, მაგრამ, სამაგიეროდ, მეორადგილოსანი ტაისონ გაი 0,14 წამით ჩამოიტოვა.

100 მეტრი მოიგო მძლეოსნობის ყოფილმა დედოფალმა მერიონ ჯონსმა, რომელმაც ნავსიანი „13“, როგორც იქნა, გატეხა და მეთოთხმეტედ გახდა ქვეყნის ჩემპიონი, პირველად 2002 წლის შემდეგ.

„ვგრძნობ, რომ თანდათან ფორმაში შევდივარ და სირბილი კვლავ უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს“ — ამბობდა ჯონსი. ძალიანაც კარგი. სარბენ ბილიკზე ამ პირმშვენიერი ქალბატონის გამოჩენა მისი უშუალო კონკურენტების გარდა ვის ეწყინება?!

კოტე ყორღია

AFP

დოქტორი დოქტორების ხელში

ვალენტინო როსი ურჩი პაციენტია

მსოფლიოს შვიდგზის მოტოჩემპიონ ვალენტინო როსის წლეულს პრობლემები არ ელევა — ხან რკინის რაში ღალატობს, ხანაც სხვა რამ მიზეზი უშლის ხელს.

ათიოდე დღის წინ ესპანეთში გამარჯვების შემდეგ ვითარება თითქოს გამოსწორდა და 27 წლის იტალიელი „დოქტორი“ საჩემპიონო ბრძოლას დაუბრუნდა. მაგრამ წინა, ჰოლანდიური ეტაპისთვის ვარჯიშისას ვალენტინო შეცდა, ტრასიდან შურდულიდან გატყორცნილივით გავარდა და ბლომადაც იყირავა. ბუნებრივია, მაშინვე კლინიკაში გააქანეს, სადაც მარჯვენა მაჯისა და მარცხენა კოჭის გაბზარვა დაუდგინეს.

მკურნალებმა როსის რბოლის გამოტოვება ურჩიეს, მაგრამ „დოქტორმა“ ექიმებს არ დაუჯერა და მეორე დღეს საპოულედ გაიბრძოლა. მაგრამ რაკი მარჯვენა, „მუშა“ ხელი გაუსივდა და დამუხრუჭება-სიჩქარის გადართვისას გვარიანად უშლიდა, კვალიფიკაციაში მხოლოდ ბოლო, მე-18 შედეგი აჩვენა.

და მაინც, ყოველივეს მიუხედავად, ვალენტინომ ყველაზე უკან დაწყებული რბოლის პირველივე წრეზე ორ მეტოქეს აუარა გვერდი, არც მერე შეუნელებია აქტიურობა და ფინიშთან მერვე მივიდა.

იმედია, იგი ორ-სამ დღეში ტრავმას მოიშუშებს და კვირას ჩვეული შემართებით იბრძოლებს დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზის მოსაპოვებლად.

ჰოლანდიაში გამარჯვების შემდეგ ამერიკელი ნიკი ჰეიდენი როსის საერთო ჩათვლაში უკვე 46 ქულას კი უგებს, მაგრამ ჯერ არაფერია გადაწყვეტილი — სეზონის ფინიშამდე ცხრა ეტაპია, ხოლო რბოლის მოგება, შეგახსენებთ, 25 ქულად ფასობს.

გია ახალაძე

ᲣᲘᲛᲑᲚᲓᲝᲜᲘ 2006. ᲑᲐᲚᲐᲮᲘ. ᲡᲐᲠᲘᲖᲝ 10 378 710 £

ᲤᲔᲓᲔᲠᲔᲠᲘ ᲐᲑᲝᲠᲒᲓᲐ: 42!

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲣᲠᲘ ᲬᲕᲘᲛᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ — 1 000 000 £

27 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ᲙᲐᲪᲔᲑᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲠᲔ

ᲠᲝᲯᲔᲠ ᲤᲔᲓᲔᲠᲔᲠᲘ (1, შვეიცარია) — **ᲠᲘᲨᲐᲠ �გᲐᲡᲙᲔ** (საფრანგეთი) 6:3 6:2 6:2; **ᲙᲠᲘᲡᲢᲝᲤ ᲕᲚᲘᲒᲔᲜᲘ** (30, ბელგია) — **ᲘᲠᲟᲘ ᲜᲝᲕᲐᲙᲘ** (ჩეხეთი) 6:4 7:5 6:2; **ᲗᲝᲛᲐᲨ ᲑᲘᲠᲓᲘᲮᲘ** (13, ჩეხეთი) — **ᲘᲐᲜ ᲰᲔᲠᲜᲘᲮᲘ** (ჩეხეთი) 6:3 6:4 7:5; **ᲛᲘᲮᲐᲘᲚ ᲘᲣᲨᲜᲘ** (რუსეთი) — **ᲞᲝᲢᲘᲢᲝ ᲡᲢᲐᲠᲐᲩᲔ** (იტალია) 6:0 6:4 6:1; **ᲓᲐᲕᲘᲓ ᲡᲐᲜᲒᲘᲜᲔᲢᲘ** (იტალია) — **ᲙᲔᲕᲘᲜ ᲙᲘᲛᲘ** (აშშ) 6:3 7:6 6:1; **ᲓᲐᲕᲘᲓ ᲜᲐᲚᲑᲐᲜᲓᲘᲐᲜᲘ** (4, არგენტინა) — **ᲕᲘᲡᲚᲘ ᲛᲣᲓᲘ** (სამხ. აფრიკა) 6:3 6:4 6:1; **ᲐᲠᲜᲝ ᲙᲚᲔᲛᲐᲜᲘ** (საფრანგეთი) — **ᲐᲚᲑᲔᲠᲢ ᲞᲝᲠᲢᲐᲡᲘ** (ესპანეთი) 6:3 6:2 6:4; **ᲮᲣᲐᲜ-ᲙᲐᲠᲚᲝᲡ ᲤᲔᲠᲔᲠᲝ** (24, ესპანეთი) — **ᲤᲔᲠᲜᲐᲜᲓᲝ ᲕᲘᲡᲔᲜᲢᲔ** (ესპანეთი) 6:1 6:3 6:2; **ᲠᲝᲯᲘᲝ ᲙᲐᲠᲐᲜᲣᲡᲘᲩᲘ** (ხორვატია) — **ᲠᲐᲘᲜᲔᲠ ᲨᲣᲢᲚᲔᲠᲘ** (გერმანია) 7:6 4:6 6:2 6:1; **ᲘᲣ-ᲪᲣ ᲕᲐᲜᲒᲘ** (ტაივანი) — **ᲝᲚᲘᲕᲘᲔ ᲛᲐᲠᲐᲮᲘ** (ავსტრია) 6:1 7:6 6:0; **ᲯᲔᲘᲛᲡ ᲑᲚᲔᲘᲙᲘ** (8, აშშ) — **ᲙᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜ ᲞᲚᲔᲡᲘ** (დანია) 6:3 7:5 5:7 6:4; **ᲘᲝᲜᲐᲡ ᲑᲘᲝᲠᲙᲛᲐᲜᲘ** (შვედეთი) — **ᲗᲝᲛᲐᲡ ᲘᲝᲰᲐᲜᲡᲝᲜᲘ** (12, შვეიდეთი) 3:6 7:6 6:1 6:1; **ᲛᲐᲠᲘᲝ ᲐᲜᲩᲘᲩᲘ** (7, ხორვატია) — **ᲜᲘᲙᲝᲚᲐ ᲐᲚᲛᲐ�გᲠᲝ** (ესპანეთი) 7:6 7:5 7:6; **ᲘᲒᲝᲠ ᲙᲣᲜᲘᲪᲘᲜᲘ** (რუსეთი) — **ᲒᲐᲔᲚ მონფილზი** (21, საფრანგეთი) 5:7 7:6 6:3 6:4; **ᲚᲣᲙᲐᲨ ᲓᲚᲣᲰᲘ** (ჩეხეთი) — **ᲤᲚᲝᲠᲔᲜ ᲡᲔᲠᲐ** (საფრანგეთი) 4:6 6:3 6:4 7:5; **ᲫᲚᲐᲕᲘᲔ ᲛᲐᲚᲘᲡᲘ** (ბელგია) — **ᲑᲔᲜᲔᲓᲘᲥᲢ ᲓᲝᲠᲨᲘ** (გერმანია) 6:2 7:5 6:2; **ᲜᲝᲕᲐᲙ ᲯᲝᲙᲝᲕᲘᲩᲘ** (სერბეთი) — **ᲞᲝᲚ ᲒᲝᲚᲓᲨᲢᲔᲜᲘ** (აშშ) 6:3 6:2 7:6; **ᲢᲘᲛ ᲰᲔᲜᲛᲐᲜᲘ** (ბრიტანეთი) — **ᲠᲝᲑᲘᲜ ᲡᲝᲓᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ** (შვედეთი) 6:7 6:3 6:2 1:6 6:3; **ᲨᲐᲑᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲜᲢᲝᲠᲝ** (საფრანგეთი) — **ᲣᲔᲘᲜ ᲐᲠᲗᲣᲠᲡᲘ** (ავსტრალია) 7:6 6:3 3:6 6:1; **ᲜᲘᲙᲝᲚᲐ ᲛᲐᲯᲣ** (საფრანგეთი) — **ᲘᲣᲠᲒᲔᲜ ᲛᲔᲚᲪᲔᲠᲘ** (ავსტრია) 6:7 7:5 6:1 6:4; **ᲠᲐᲓᲘᲩ ᲨᲢᲔᲞᲐᲜᲔᲩᲘ** (14, ჩეხეთი) — **ᲤᲠᲔᲓᲘ ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲘᲩᲘ** (კანადა) 7:6 6:3 6:4; **ᲐᲒᲣᲡᲢᲘᲜ ᲙᲐᲚᲔᲠᲘ** (არგენტინა) — **ᲞᲐᲠᲐᲓᲝᲠᲜᲝ ᲨᲠᲘᲩᲐᲞᲐᲠᲜᲘ** (29, ტაილანდი) 6:7 7:5 6:3 3:6 6:3; **ᲡᲢᲐᲜᲘᲡᲚᲐᲡ ᲕᲐᲕᲠᲘᲜᲙᲐ** (შვეიცარია) — **ᲘᲕᲝ ᲙᲐᲠᲚᲝᲕᲘᲩᲘ** (ხორვატია) 7:6 3:6 6:2 6:7 11:9; **ᲛᲐᲠᲙ ᲤᲘᲚᲘᲞᲣᲡᲘᲡᲘ** (ავსტრალია) — **ᲞᲝᲚ-ᲐᲜᲠᲘ ᲛᲐᲢᲘᲝ** (32, საფრანგეთი) 5:7 7:6 6:3 7:6; **ᲠᲘᲩᲐᲠᲓ ᲒᲚᲣᲛᲤᲘᲚᲓᲘ** (ბრიტანეთი) — **ᲙᲐᲠᲚᲝᲡ ᲑᲔᲠᲚᲝᲙᲘ** (არგენტინა) 6:1 6:2 6:2; **ᲐᲜᲓᲠᲔ ᲐᲑᲐᲡᲘ** (25, აშშ) — **ᲑᲝᲠᲘᲡ ᲞᲐᲨᲐᲜᲡᲙᲘ** (სერბეთი) 2:6 6:2 6:4 6:3; **ᲛᲐᲗᲘ ᲛᲘᲠᲜᲘ** (ბელორუსია) — **ᲠᲣᲑᲔᲜ ᲠᲐᲛᲘᲠᲔᲡ-ᲘᲓᲐᲚᲒᲝ** (ესპანეთი) 6:7 6:4 6:3 6:3; **ᲑᲔᲜᲯᲐᲛᲘᲜ ᲑᲔᲙᲔᲠᲘ** (გერმანია) — **ᲮᲣᲐᲜ-ᲘᲒᲜᲐᲡᲘᲝ ᲩᲔᲚᲐ** (არგენტინა) 6:3 3:6 6:3 6:4; **ᲢᲝᲛᲘ ᲠᲝᲑᲠᲘᲯᲝ** (11, ესპანეთი) — **ᲡᲘᲛᲝᲜ ᲒᲠᲝᲘᲚᲘ** (გერმანია) 6:2 6:2 5:7 7:6; **ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲔ ᲑᲠᲐᲖᲘᲐᲚᲘ** (იტალია) — **ᲓᲝᲛᲘᲜᲘᲙ ᲰᲠᲑᲐᲢᲘ** (20, სლოვაკეთი) 6:2 6:4 6:4; **ᲢᲝᲛᲘ ᲰᲐᲐᲡᲘ** (19, გერმანია) — **ᲘᲠᲟᲘ ᲕᲐᲜᲔᲙᲘ** (ჩეხეთი) 7:6 7:5 6:4; **ᲤᲔᲠᲜᲐᲜᲓᲝ ᲕᲔᲠᲓᲐᲡᲙᲝ** (28, ესპანეთი) — **ᲕᲘᲜᲡᲔᲜᲢ ᲡᲞᲐᲓᲔᲐ** (აშშ) 3:6 6:4 7:6 6:3; **ᲯᲔᲘᲛᲘ ᲓᲔᲚᲑᲐᲓᲝ** (ბრიტანეთი) — **ᲛᲘᲮᲐᲘᲚ ᲑᲔᲠᲘᲠᲘ** (გერმანია) 6:4 6:3 3:6 3:6 6:3; **ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲝ ᲒᲐᲚᲕᲐᲜᲘ** (იტალია) — **ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲕᲐᲚᲙᲔ** (გერმანია) 4:6 7:6 6:4 3:6 16:14; **ᲠᲝᲑᲔᲠᲢ ᲙᲔᲜᲓᲠᲘᲙᲘ** (აშშ) **ᲘᲝᲜ-Უ ᲡᲣᲜ ᲚᲘ** (ტაივანი) 7:6 6:3 6:0; **ᲤᲔᲠᲜᲐᲜᲓᲝ ᲒᲝᲜᲡᲐᲚᲔᲡᲘ** (10, ჩილე) — **ᲚᲣᲘᲡ ᲰᲝᲠᲜᲐ** (პერუ) 7:6 7:5 6:2; **ᲝᲚᲘᲕᲘᲔ ᲠᲝᲮᲣᲡᲘ** (26, ბელგია) — **ᲯᲘᲚ ᲛᲘᲣᲚᲔᲠᲘ** (ლუქსემბურგი) 6:4 7:5 6:3; **ᲤᲘᲚᲘᲞ ᲙᲝᲚᲨᲠᲐᲘᲑᲔᲠᲘ** (გერმანია) — **ᲠᲐᲖᲕᲐᲜ ᲡᲐᲑᲐᲣ** (რუმინეთი) 6:3 6:2 6:4; **ᲔᲜᲓᲘ ᲛᲘᲣᲠᲘᲡᲘ** (ბრიტანეთი) — **ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲡ ᲛᲐᲡᲣ** (31, ჩილე) — 6:1 6:4 6:4; **ᲠᲐᲤᲐᲔᲚ ᲜᲐᲓᲐᲚᲘ** (2, ესპანეთი) — **ᲐᲚᲔᲥᲡ ᲑᲝ�გᲓᲐᲜᲝᲕᲘᲩᲘ** (სერბეთი) 6:4 7:6 6:4; **ᲛᲐᲠᲐᲗ ᲡᲐᲤᲘᲜᲘ** (რუსეთი) — **ᲒᲠᲔᲒ ᲠᲣᲡᲔᲓᲡᲙᲘ** (ბრიტანეთი) 6:4 6:4 6:4; **ᲐᲜᲓᲠᲔᲘᲐᲡ ᲡᲔᲞᲘ** (იტალია) — **ᲯᲔᲛᲘ ᲑᲔᲘᲙᲔᲠᲘ** (ბრიტანეთი) 6:3 6:7 6:4 6:3; **ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘ ᲓᲐᲕᲘᲓᲝᲕᲘᲩᲘ** (9, რუსეთი) — **ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲤᲐᲚᲐ** (კოლუმბია) 6:2 6:7 (გადაიდო); **ᲗᲝᲛᲐᲨ ᲖᲘᲑᲘ** (ჩეხეთი) — **ᲐᲚᲑᲔᲠ ᲛᲝᲜᲢᲐᲜᲘᲔᲡᲘ** (ესპანეთი) 6:3 6:4 (გადაიდო); **ᲟᲣᲚᲘᲔᲜ ᲑᲔᲜᲘᲢᲝ** (საფრანგეთი) — **ᲑᲘᲝᲠᲜ ᲤᲝ** (გერმანია) 5:7 6:4 (გადაიდო); **ᲤᲚᲝᲠᲘᲐᲜ ᲛᲐᲘᲔᲠᲘ** (გერმანია) — **ᲠᲝᲑᲘᲜ ᲕᲘᲙᲘ** (ჩეხეთი) 6:3 6:3 (გადაიდო)

ᲥᲐᲚᲔᲑᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲠᲔ

ᲙᲕᲘᲢᲐ ᲞᲔᲨᲙᲔ (ჩეხეთი) — **ᲙᲠᲘᲡᲢᲘᲜᲐ ᲑᲠᲐᲜᲓᲘ** (პუერტო რიკო) 6:3 6:0; **ᲡᲕᲘᲢᲚᲐᲜᲐ ᲙᲣᲖᲜᲔᲪᲝᲕᲐ** (5, რუსეთი) — **ᲠᲝᲛᲘᲜᲐ ᲝᲠᲜᲐᲜᲓᲘ** (იტალია) 6:3 6:2; **ᲨᲣᲡᲢᲘᲜ ᲔᲜᲘᲜ-ᲐᲠᲓᲘᲜᲘ** (3, ბელგია) — **ᲛᲔᲜᲒ ᲘᲣᲐᲜᲘ** (ჩინეთი) 6:0 6:1; **ᲛᲐᲠᲢᲘᲜᲐ ᲰᲘᲜᲒᲘᲡᲘ** (12, შვეიცარია) — **ᲝᲚᲒᲐ ᲡᲐᲕᲩᲣᲙ** (უკრაინა) 6:2 6:2; **ᲢᲐᲢᲘᲐᲜᲐ ᲒᲐᲠᲑᲘᲜᲘ** (იტალია) — **ᲙᲔᲢᲘ ᲝᲠᲐᲘᲔᲜᲘ** (ბრიტანეთი) 2:6 7:6 6:2; **ᲔᲕᲐ ᲒᲘᲠᲜᲔᲠᲝᲕᲐ** (ჩეხეთი) — **ᲡᲝᲤᲘᲐ ᲐᲠᲕᲘᲓᲡᲝᲜᲘ** (28, შვედეთი) 6:2 6:4; **ᲕᲘᲠᲯᲘᲜᲘᲐ ᲠᲣᲐᲜᲝ ᲞᲐᲡᲙᲣᲐᲚᲘ** (ესპანეთი) — **ᲰᲐᲜᲐ ᲨᲠᲝᲛᲝᲕᲐ** (ჩეხეთი) 6:4 6:3; **ᲕᲘᲥᲢᲝᲠᲘᲐ ᲙᲣᲢᲐᲣᲖᲝᲕᲐ** (უკრაინა) — **ᲚᲘᲚᲘ ᲝᲡᲢᲔᲠᲚᲝᲰᲘ** (აშშ) 6:4 3:3 (უარი) 6:4 4:6 6:1; **ᲐᲘ ᲡᲣᲒᲘᲐᲛᲐ** (18, იაპონია) — **ᲜᲐᲝᲛᲘ ᲙᲘᲒᲔᲓᲘ** (ბრიტანეთი) 6:4 7:5; **ᲟᲘ ᲟᲘᲜᲒᲘ** (ჩინეთი) — **ᲘᲒᲝᲢᲐ ᲩᲔᲜᲔᲨᲝᲕᲐ** (ჩეხეთი) 7:5 6:2; **ᲒᲘᲖᲔᲚᲐ ᲓᲣᲚᲙᲝ** (32, არგენტინა) — **ᲔᲛᲐ ᲚᲘᲜᲘ** (ფინეთი) 7:6 6:1; **ᲜᲐ ᲚᲘ** (27, ჩინეთი) — **ᲕᲘᲠᲯᲘᲜᲘᲐ ᲠᲐᲖᲐᲜᲝ** (საფრანგეთი) 6:2 6:0; **ᲯᲔᲛᲘᲐ ᲯᲔᲘᲛᲡᲝᲜᲘ** (აშშ) — **ᲙᲠᲘᲡᲢᲘᲜ ᲤᲚᲘᲰᲙᲘᲜᲡᲘ** (ბელგია) 4:6 6:4 6:1; **ᲐᲙᲘᲰᲝ ᲛᲝᲠᲘᲒᲣᲩᲘ** (იაპონია) — **ᲕᲔᲠᲐ ᲓᲣᲨᲔᲕᲘᲜᲐ** (რუსეთი) 1:6 6:4 6:2; **ᲢᲐᲛᲐᲠᲘᲜ ᲢᲐᲜᲡᲣᲒᲐᲠᲜᲘ** (ტაილანდი) — **ᲙᲐᲢᲐᲚᲘᲜᲐ ᲙᲐᲡᲢᲐᲜᲝ** (კოლუმბია) 6:7 6:1 6:2; **ᲐᲚᲘᲡᲘᲐ ᲛᲝᲚᲘᲜᲘ** (ავსტრალია) — **ᲘᲣᲜᲒ-ᲐᲜ ᲩᲐᲜᲘ** (ტაივანი) 7:5 6:1; **ᲙᲐᲠᲝᲚᲘᲜᲐ ᲨᲐᲠᲝᲕᲐ** (ხორვატია) — **ᲐᲜᲘ ᲙᲘᲝᲗᲐᲕᲝᲜᲒᲘ** (ბრიტანეთი) 6:0 6:2; **ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲐ ᲑᲘᲩᲙᲝᲕᲐ** (რუსეთი) — **ᲐᲘᲙᲝ ᲜᲐᲙᲐᲛᲣᲠᲐ** (იაპონია) 6:3 1:6 6:3; **ᲙᲘᲛ ᲙᲚᲐᲘᲡᲢᲔᲠᲡᲘ** (2, ბელგია) — **ᲕᲔᲠᲐ ᲖᲕᲝᲜᲐᲠᲘᲝᲕᲐ** (რუსეთი) 7:5 6:3; **ᲕᲘᲚᲚᲘᲐᲛ ᲢᲣ** (აშშ) — **ᲕᲐᲡᲘᲚᲘᲡᲐ ᲑᲐᲠᲓᲘᲜᲐ** (რუსეთი) 6:3 6:0; **ᲙᲐᲢᲐᲠᲘᲜᲐ ᲡᲠᲔᲒᲝᲢᲜᲘᲙᲘ** (სლოვენია) — **ᲛᲐᲠᲢᲘᲜᲐ ᲡᲣᲮᲐ** (სლოვაკეთი) 6:4 6:1; **ᲛᲐᲠᲘᲝᲜ ᲑᲐᲠᲢᲝᲚᲘ** (14, საფრანგეთი) — **ᲙᲐᲛᲘᲚ ᲞᲘᲜᲘ** (საფრანგეთი) 6:0 6:2; **ᲐᲒᲜᲔᲨᲙᲐ ᲠᲐᲫᲬᲐᲜᲡᲙᲐ** (პოლონეთი) — **ᲕᲘᲥᲢᲝᲠᲘᲐ ᲐᲖᲐᲠᲔᲜᲙᲐ** (ბელორუსია) 7:5 6:4; **ᲡᲔᲕᲔᲠᲘᲜ ᲑᲠᲔᲛᲝᲜᲘ** (საფრანგეთი) — **ᲐᲜᲐᲡᲢᲐᲡᲘᲐ ᲘᲐᲙᲘᲛᲝᲕᲐ** (ბელორუსია) 7:5 6:3; **ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲐ ᲰᲐᲜᲢᲣᲩᲝᲕᲐ** (15, სლოვაკეთი) — **ᲛᲐᲠᲘᲜᲐ ᲔᲚᲔᲜᲔᲐ ᲙᲐᲛᲔᲠᲘᲜᲘ** 6:4 4:6 6:1; **ᲞᲐᲢᲘ ᲨᲜᲘᲓᲔᲠᲘ** (8, შვეიცარია) — **ᲐᲜᲢᲝᲜᲔᲚᲐ ᲡᲘᲠᲐ-ᲫᲐᲜᲔᲢᲘ** (იტალია) 2:6 7:6 6:2; **ᲐᲜᲐ ᲩᲐᲙᲕᲔᲢᲐᲫᲔ** (30, რუსეთი) — **ᲟᲘ ᲘᲐᲜᲘ** (ჩინეთი) 6:3 6:2; **ᲔᲚᲔᲜᲐ ᲕᲔᲡᲜᲘᲜᲐ** (რუსეთი) — **ᲛᲐᲠᲘᲐ ᲡᲐᲜᲩᲔᲡ-ᲚᲝᲠᲔᲜᲪᲝ** (ესპანეთი) 2:6 6:4 6:3; **ᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲐ ᲑᲝᲜᲓᲐᲠᲔᲜᲙᲝ** (უკრაინა) — **ᲘᲕᲐᲜᲐ ᲚᲘᲡᲘᲐᲙᲘ** (ხორვატია) 6:4 7:5; **ᲜᲘᲙᲝᲚ ᲕᲐᲘᲓᲘᲨᲝᲕᲐ** (10, ჩეხეთი) — **ᲙᲚᲐᲠᲐ ᲙᲣᲙᲐᲚᲝᲕᲐ** (ჩეხეთი) 7:5 7:5 **ᲨᲘᲜᲝᲑᲣ ᲐᲡᲐᲒᲝ** (იაპონია) **ᲛᲐᲠᲘᲐ ᲙᲘᲠᲘᲚᲔᲜᲙᲝ** (17, რუსეთი) 6:2 7:5; **ᲪᲕᲔᲢᲐᲜᲐ ᲞᲘᲠᲝᲜᲙᲝᲕᲐ** (ბულგარეთი) — **ᲐᲜᲐ-ᲚᲔᲜᲐ ᲒᲠᲝᲜᲤᲔᲚᲓᲗᲐᲜ** (13, გერმანია) 3:6 6:3 6:1

რეკორდი არის, სენსაცია — არა. არც უნდა ყოფილიყო, მაგრამ სპეციალისტთა უმრავლესობამ, ზოგმა ინტერესით, ზოგმაც ბოროტი სიცილით — არიქა ფედერერი ფორმაში არ არის, წლევანდელ ბალახობაზე ჩვეულად დომინანტურად ვერ გამოიყურება და თან თავისთვის უხერხულ მეტოქე რიშარ გასკეს ეთამაშებაო. მოკლედ, ერთი ამბავი ატეხეს, მაგრამ ფედერერმა ჩვეულ სტილში გასცა პასუხი ამ უდიდეს ზეწოლას და ახლა იგივე ხალხი იმაზე ლაპარაკობს, შვეიცარიელი სეტს მაინც თუ წააგებს ამ უიმბლდონზეო.

AFP ლონდონიდან

მეორე წრეში როჯერ ფედერერი ტიმ ჰენმანს ელის

თუმც რეკორდამდე იყო წვიმა, რომლის გამოც მთელი სათამაშო დღე ჩავარდა. წვიმით და ღრუბლიანობით უიმბლდონზე ვის გააკვირვებ, მაგრამ ეს მაინც ნამეტანი ზარალი გამოდგა ორგანიზატორებისთვის — ერთი მილიონი გირვანქა ხუმრობა აღარ არის. სწორედ ამ ოდენობით მოუწევთ მათ ჯიბეების შეთხელება და მაყურებლისთვის ფუჭად ნაყიდი ბილეთების საფასურის გადახდა. ისე, ასეთი რამ მომავალი წლიდან ორგანიზატორებს მაინცდამაინც ვეღარ შეაშინებს. საქმე იმაშია, რომ კონსერვატორი ინგლისელებისთვისაც ფული ტრადიციებზე წინ დადგა და მათაც გადაწყვიტეს, საკუთარ სიჯიუტეს გადააბიჯონ — 2007 წლიდან ცენტრალური და პირველი კორტები გადაახურება და წვიმა ამდენ ზარალს ვეღარ მოუტანთ.

ისევ რეკორდს დავუბრუნდეთ — მოგეხსენებათ, წლეულს ჰალეში გამარჯვებით „მხიარული როჯერი" დიად ბიორნ ბორგს გაუტოლდა ბალახზე ზედიზედ მოგებული — 41 მატჩების ოდენობით. გასკეს დამარცხებით კი შვეიცარიელმა 42-დ დატოვა კორტი წაუგებლად, ახალი რეკორდსმენიც გახდა და ძნელი წარმოსადგენია ეს სერია 42-ზე გაიყინოს.

თვითონ ფედერერი კი თვლის, რომ ბორგის რეკორდი მის მიღწევას ჯობს, რადგანაც ლეგენდარულმა შვედმა ყველა საბალახო გამარჯვება უიმბლდონზე მოიპოვა, როდესაც ლონდონში ზედიზედ 5-ჯერ, 1976-დან 1980 წლამდე, იმარჯვა, შემდეგ კი მეექვსე ფინალში გავიდა, თუმც იქ ჯონ მაკინროისთან წააგო.

„უიმბლდონი მაინც უიმბლდონია და მისი ზედიზედ 5-ჯერ მოგება და ექვსჯერ ფინალში გასვლა ფაქტობრივად ნებისმიერი მოთამაშის შესაძლებლობებს აღემატება. ბორგი ჩემთვის მაინც გმირად რჩება" — განაცხადა ნამატჩევს ახალმა რეკორდსმენმა.

შვეიცარიელის მომდევნო მეტოქე მასპინძელთა ფავორიტი ტიმ ჰენმანია, მაგრამ მათ მიერ პირველ წრეში ნაჩვენებ თამაშს თუ გავითვალისწინებთ, შეიძლება ითქვას, რომ ჰენმანომანია ლონდონში ზედიზედ მეორე წელია, მალევე შეწყდება. თუმც ტიმი მაინც რომ იბრძოლებს, უეჭველია — საკუთარი მაყურებლის წინაშე ბრიტანელი ყველაფერს გაიღებს.

გუშინაც, რობინ სოდერლინგის წინააღმდეგ, ჰენმანს ტრიბუნათა გიჟური მხარდაჭერა ფრიად მიეხმარა და უტეხი სკანდინავის დამარცხება შეაძლებინა.

სხვადასხვანაირი გამოდგა ორი უმთავრესი ეისმტყორცნელის ბედი — ივო კარლოვიჩი ვერ გადაარჩინა თავისმა ამ მეტად სოლიდურმა იარაღმა და წლევანდელი გათამაშების პირველ ტრილერში ხორვატმა გზა სტანისლავ ვავრინკას დაუთმო.

AFP ლონდონიდან

კიმ კლაისტერსი

სამაგიეროდ, ეისები საჭირო დროს მოაწოდა ვეტერანმა და უიმბლდონის 2003 წლის ფინალისტმა აქ ორჯერ ფინალისტმა მარკ ფილიპუსისმა. როგორც კი პოლ-ანრი მატიოს ცოტა შანსისსმაგვარი გაუჩნდებოდა, გიგანტი ოზი თავის ეისმტყორცნს რთავდა და კვლავაც სიტუაციის ბატონ-პატრონი ხდებოდა. ფილიპუსისს მატჩის ბოლოს 39 ეისი მოუგროვდა.

კარგად დაიწყო ჩოგბურთიდან მიმავალმა ანდრე აგასიმაც. 36 წლის ვეტერანი არ შეუშინდა პარტიის წაგებას და მეორე სეტიდან მოყოლებული კორტზე მხოლოდ ის თამაშობდა — ისედაც თავის ბოლო უიმბლდონზე აგასი თავს იმის უფლებას ვერ მისცემდა, რომ პირველივე წრეში წაეგო.

ნაკლებად დატვირთული გამოდგა ქალთა ტურნირის სათამაშო დღე, თუმც საინტერესო აქაც ბლომად ვიხილეთ.

სენსაციების მოყვარულები ფედერერული იმედგაცრუების შემდეგ „იმედის თვალით" კიმ კლაისტერსს უცქერდნენ — ბელგიელი ცოტა ხნის წინ ბირმინგემში გამარჯვებულ ვერა ზვონარიოვას ხვდებოდა.

თითქოს აქაც რაღაც უნდა მომხდარიყო. მაგრამ არა, კლაისტერსს საამისოდ ნაღდად არ სცხელოდა. კიმს ჟუსტინ ენენ-არდენის ჯაჭვი ახრჩობს — ჭინკა თანამემამულეს იმდენჯერ გაუმწარება, ლამისაა სათვალავი აერიოს. ჰოდა, კლაისტერსიც მოთმინებით ელოდება მათ სავარაუდო ნახევარფინალურ ჯაჭვს. საღ, საღ და ბალახზე კიმს ყველაზე მეტი შანსი აქვს ენენის დასამარცხებლად და აბა, რა დროს ზვონარიოვა იყო.

ამასობაში კი თვითონ მინიატურულმა ენენმა ტანკივით გადაუარა ჩენგ იუანს და საბრალო ჩინელს მხოლოდ კინკილა გეიმი ააღებინა.

წარმატებული გამოდგა მარტინა ჰინგისის დაბრუნებაც — 1997 წლის უიმბლდონის გამარჯვებულმა ძალიან ადვილად მოუგო ოლგა სავჩუკს.

ᲫᲐᲮᲐ ᲚᲝᲛᲯᲐᲮᲕᲘᲚᲘ

AFP ასკოტიდან

ასკოტის ჩვეული სიზლი

ფეხბურთი კია, მაგრამ ამის გამო ასკოტის დოღს არავინ უგანებს. მით უმეტეს, ჩარლზი და კამილა. დედოფალსა და ედინბურგის პრინცზე არაფერს ვიტყვით. ცილინდრობა და შლიაპობა, ასევე სხვა ათასი თვალწარმტაცობა. ასკოტი ბრიტანეთის მაღალთა დღეებს მასპინძლობს.

AFP ასკოტიდან

AFP თეირანიდან

კაცები არა!

AFP თეირანიდან

ირანული კანონების მიხედვით, იქაურ ქალებს ყოველგვარ სპორტში ვარჯიშობა შეძლებიათ, ოღონდაც შორიახლოს კაცის ჭაჭანება არ უნდა იყოს. ჰოდა, აგე, რაგბი და სოფტბოლი თეირანის აზადის სტადიონის სავარჯიშო მინდვრებზე. ირანში სპორტის საცქერლად ქალს სტადიონზე არ უშვებდნენ. მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში. ახალმა პრეზიდენტმა ეს აკრძალვა მოხსნა, ოღონდ მხოლოდ ოჯახის ქალებისთვის. არის მაგარი ირანული ფილმი გოგოზე, რომელიც სტადიონზე შეპარვას ცდილობს.

კარგი აუგია

ფრანგი გემთამშენებელი ბერნარ ნიველი ახლა ისვენებს. მისგან ქმნილი, „არევა ჩელინჯი“ კი ლუი ვუტონის თასში ჩაებმება და ნახევარფინალში გასასვლელად იბრძოლებს.

AFP

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრიმჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბარო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ჭაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge